2/21
1933

№ 23 დეკემბრის 15 გამ. წელი მეათე გამ—ბა „კომუნისტი". ფასი 40 კ.

# ნიანგი




კაპიტალისტური მსოფლიო ხვდება მშიერ ზამთარს.

# საბჭოთა კავშირში

## ზესტაფონში ამუშავდა ფერო გიგანტი



ზესტაფონის ფერო — მარგანეცის ქარხანა. ციკლონები.

## ტფილისში შენდება ახალი ინდუსტრიალური ტექნიკუმი



კიროვის ქუჩაზე გაძლიერებული ტემპით ... ახალი ინდუსტრიალური ტექნიკუმის მშენებლობა. შენობა განზრახულია 350 მოსწავლისათვის. მისი მოცულობა უდრის 16.000 კუბმ. მესამე სართულის მშენებლობა მთლიანად დამთავრდა, საიდაც ... ახლად მილებული ...

სურათზე — ტექნიკუმის მთავარი კორპუსი.

ფოტო შმერლინგის

## კავშირგაბმულობის ახალი სახლი



ტფილისში მთავრდება კავშირგაბმულობის ახალი სახლის მშენებლობა, რომელშიაც მოთავსებული იქნება საქ. კავშირგაბმულობის სამმართველო, ახალი ავტომატური ტელეფონის სადგური, რადიო თეატრი, საფოსტო განყოფილება და სხვ. სურათზე—კავშირგაბმულობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო შმერლინგის.



პირველ ნოემბერს ამხ. მიქოიანის სახელობის ნავთის სარეწაოებზე (ბაქო) ჭაბურღილი № 37, რომელიც იბურღებოდა „300"-ის ანგარიშში—მეშვიდე ჰორიზონტიდან მოხვდა ნავთის უძლიერესმა შადრევანმა, რომელიც დღე და ღამეში იძლევა 1500 ტონა ნავთს. სურათზე—წითელ არმიელები და სტუდენტები მუშაობენ ჭაბურღილი № 37-დან ნავთის მასალებ ... ირგვლივ დამბის მშენებლობაზე.

ფოტო შეფცოვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 23 ტფილისი, 15 დეკემბერი გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა 1933

# ლენინისა და სტალინის პარტიის მე-17 ყრილობა

1930 წლის ზაფხულზე, როცა შიიარიბა საკ. ა. პ. (ბ) XVI ყრილობა, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები გაშლილ ბრძოლას აწარმოებდნენ პირველი ხუთწლედის განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირი მაშინ კიდევ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ბატონობდა კავი და სახნისი. კაპიტალისტურ ელემენტებს სოფლად ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, კულაკი შევიწროებული იყო, მაგრამ არა ხერხემალ გადატეხილი. სამი წლის განმავლობაში მოხდა ის, რაც არაად და არასოდეს არ უნახავს ისტორიას. ძველი, ეკონომიურად დაბეჩავებული, კულტურულად ბნელი ქვეყანა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო პროლეტარიატმა მის მიერ განადგურებულ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიისაგან, ჩვენ თვალწინ გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი შეიმოსა რკინითა და ბეტონით. მინდვრები მოიფინა ინდუსტრიის გიგანტებით. კულტურული ცხოვრება უაღრესად განვითარდა.

პირველი ხუთწლედი წარმატებით დაამთავრა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა. ჩაყრილია სოციალიზმის მტკიცე საფუძველი. ჩვენ უკვე პრაქტიკულად შევუდექით საქმეს, რომელზედაც წერდენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძის ჩამყრელნი. ჩვენ პროლეტარიატის გენიოსი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ვაკეთებთ საქმეს, რომელზედაც საუკუნების განმავლობაში ოცნებობდენ მუშათა კლასის საუკეთესო მებაირახტრეები.

XVII ყრილობა — ეს არის ყრილობა უკლასო საზოგადოების. მოისპო კაპიტალიზმის მკვებავი ფესვები საბჭოთა კავშირში. ეხლა დგას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების ლიკვიდაციის საკითხი.

ასეთ პირობებში გასაგებია, რომ XVII ყრილობისათვის სამზადისი გადაიქცა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მილიონების ნამდვილ ლაშქრობად სოციალიზმის მშენებლობის მორიგი მწვერვალების დაპყრობისათვის. დიად საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად მძლავრად გაიშალა მასების შრომითი ენტუზიაზმის ტალღა.

ამ საერთო ფერხულში ჩაება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაც. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია, მენშევიკებისაგან აოხრებული საქართველო პროლეტარულ ხელისუფლების დროს დადგა ნამდვილი აღორძინების გზაზე და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით ის მალე ამაღლდა ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობის საერთო დონემდე. დნეპროსტროების, მაგნიტოგორსკების, სელმაშსტროების, საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნების და მრეწველობის სხვა მრავალ გოლიათებთან ერთად, რომლებიც აღიმართენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიაც დაინერგა ინდუსტრიის მძლავრი კერები, ზაჰესი, რიონჰესი, ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა, აბრეშუმის ძაფსაღები და ძაფსახვევი ფაბრიკები, მაუდის ფაბრიკები ტფილისსა და ქუთაისში, ლითონის კონსტრუქციების ქარხანა ტფილისში, „საქნავთი" და სხვ. ეს, საბჭოთა ხელისუფლების საამაყო მიღწევები ერთ დროს დაბეჩავებულ, ჩამორჩენილ საქართველოში.

იგივე სახე ჩვენმა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია ისე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც მიდიოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკურად შეიარაღებასთან, სპეციალურ და შრომისტევად კულტურების ფართოდ დანერგვასთან ერთად. კოლმეურნეობა გადაიქცა ყველაზე პოპულარულ სიტყვად. უდიდესად გაძლიერდა ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლმეურნეობაში შესვლის სურვილი. ამას კიდევ უფრო შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებით სოფლად მოეწყო პოლიტგანყოფილებები, რომელთაც გაშალეს შეუპოვარი ბრძოლა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, თვითეული კოლმეურნეობის ნამდვილად ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და თვითეულ კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევისათვის.

ამ მიღწევათა მოპოებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ კულტურული წარმატების გზით. 1934 წელს საქართველოში აღარ იქნება წერა-კითხვის უცოდინარი, ათასობით აღიზარდა მაღალკვალიფიკაციური კადრები — მუშებისა და ღარიბ გლეხთა შვილები, ქვეყანა დაიქსელა ყველა საფეხურის სკოლებით. უდიდესად განვითარდა ბეჭდვითი სიტყვა, შეიქმნა ქართული სცენა და სხვ.. ასეთი მიღწევებით ეგებება ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები საკ. კ. პ. (ბ) ერთ-ერთ რაზმის საქ. კ.პ. (ბ) IX ყრილობას.

უდიდესი გამარჯვებანი, რომელიც მოიპოვა საბჭოთა კავშირმა ლენინისა და სტალინის პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, არის შედეგი დაუნდობელი ბრძოლისა, როგორც აშკარა კლასობრივ მტრებთან, ისე მის აგენტებთან პარტიის შიგნით. პარტიამ განმანადგურებელი ბრძოლა გაშალა მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც დღევანდელ ეტაპზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. პარტიამ გაანადგურა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი, რომლის ნაშთებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას და მავნებლობას, პარტიამ ამხილა და ძირშივე აღკვეთა სირცოვ-ლომინაძის მემემარცხენო-„მემარჯვენო" ბლოკი და დღეს ის ურყევი ფოლადისებური რიგებით, საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით მიდის თავის XVII ყრილობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთის მწერლებს

### სანდრო ეული

მეც თქვენთან ვხარობ დღეს ბედნიერი,
ცეცხლი აღგზნებით გვინთია გულში.
გვესმის სიმღერა,—სამი ხმა მღერის,
სამივეს ახსოვთ კვნესა წარსულის.
ათასი წლები, უზიდავთ ტანჯვა
და შავ ბედის ქვეშ მძიმე უღელი,—
დღეს გულს არ უღრღნის აზერბეიჯანს
საქართველოს და სომხეთს ნაღველი.
მათ ოქტომბერი ბრძოლით იწამეს,
ბევრჯერ მოურწყავთ სისხლით ქვეყანა,
ბევრჯერ მზიანი დღე დაიღამეს,
რომ მზე მიწაზე ჩამოეყვანათ,
გახსოვთ,—მოვანეს მოგვიწოდებდა*):

„დავრჩეთ ქურუმნო ძმად და მეგობრად"
დიდი მგოსანი ალბათ მგოდებდა,—
რომ მისი სიტყვა რჩებოდა ობლად
მაგრამ ის დრო ჩვენ ვაკუთვნეთ წარსულს
დღეს სხვა დრო არის და ძგერა გულის
დიდი ეპოქის მიზანს დასახულს
ჩვენგან მაღალი სიტყვა ეკუთვნის
სიტყვა ნაჭედი ჩვენი გულიდან.
როგორც შეგვფერის სიტყვის ოსტატებს
ჩვენც პოეტები ყველა კუთხიდან.
ვქმნით პოეზიის ჰაეროსტატებს;
მოძმე მწერლებო, სალამი თქვენდა!
მოქანდაკენო სომხური სიტყვის,
დღეს მხარობს თქვენი მშობელი დედა.

და გამარჯვების ცამეტ წელს ითვლის,
ვიშ, ეს სურათი თქვენს წინ გაშლილი,
მკვდრეთით აღდგენა ძველი ქალაქის,
წინად რომ ღვრიდა ცრემლს თმაგაშლილი
ნატვრად ქცეული ახლის დანახვის.
მაშ, მეგობრებო, გაშალეთ ფრთები,
უუფლეთ სივრცეს, გახსოვდეთ უნდა
„კაცის სულის ვართ ჩვენ ოსტატები"
და ასეთებად დავრჩებით მუდამ!
მეც თქვენთანა ვარ დღეს ბედნიერი
გულები ცეცხლით გვაქვს აღზნებული
დღეს გვიხარია და ყველა ვმღერით,—
საბჭოთა სომხეთს სალამი ძმური.

*) სომხეთის უდიდესი პოეტი ჰოვანეს თუმანიანი, რომელმაც დასწერა ლექსი „საქართველოს პოეტებს".

# გაბზარული ბუნება

### სიმონ ჩიქოვანი

ღარიბი ეზო, მშვიდი და გრილი,
მზეა მოეხატა ფართიამ კალმით;
და კაკზე გლეხი წელში მოხრილი
ეკიდა როგორც ჩიბუხზე კვამლი.
უფოთლო ხეებს ქონდათ ჩხრიალი,
ეს ქარს ნიშნავდა...
ცა იყო ბროლის:
მზეს შეყურებდა ეზო ფრიალო
მზეს ქარის კუდზე ზანტად გაწოლილს
მიწა ხუთავდა ალესილ სახნისს,
და აწვებოდა ხარსა და უღელს.
წელში მოხრილი გლეხი-კაცი შეახნის,
მისდევდა კვალს და ბელტავდა მუყაოთ.
უცებ ნიკორამ გაწყვიტა ზურგი
შედრკა გაშეშდა მიაწვა კისერს,
თითქო შეხვდათ უტეხი ხერგი.
შეუტიენ და შეჩერდენ ისევ.
მაგრამ შოლტის ხმით
გამოჩნდა მკლავი.
სახნის მიწაში ბორკავდა რაღაც.
წყრომით მუშტებით გადახტა კაცი
და შეადარა გლეხკაცი ქალაქს
იმ წამსვე სისხლი მიაწყა ლოყას
გლეხს კაცი ეცა, იტყვნა თეძო.
შემდეგ დაფიქრდა და შავი ჩოხა
გადმოიგდო და დასტოვა ეზო.
ბაღში ტიროდა წაქცეული სახლიდან,
ცარიელია სურნელის თარო,—
იდგა ცოლი და წყნარად უბნობდა:

„შენ ჩემო ქმარო სად მიდიხარო!
ქმარი წავიდა დასტოვა კვალი
ხარს საქვეულით შერჩა უღელი.
კაცი მკლავსა გაცვლა ამზობდა ქალი—
კაცი გატყდა და დაერჩა უხილავი.
ნეტავ სად მიდის, ამ საუკუნეს
ვინ რას გაუგებს.
დამეესო უპე-
მოუთხრობს მოთხრობას თუ გაუგონეს
შევა, ეძმობა და დაეილუპა.
ნიავის ფერი, მიდამო მშვიდი
გზას უნათებდა მიმავალ გლეხკაცს;
ვერ გაუტეხა ცხოვრებას მკვიდრი,
ვერ დაეცლოდა ჟამთა სვლის ეკალს.
კვეთან ნაბოჯით გაწვრთნილი მუხლი,
დამსგავსებოდა ფეხი ლოდის სარს:
სხეულზე მაღლა ბოხოხი ბუხრის,
იყო „თაედები ჯამბაზობის".
გატყდა კაცი და გატყდება ფარცხი-
ფიქრობდა გლეხი საყანის ცოცხლი—
უიარაღო მკლავების მარცხი,
შემსწავლელია ყამირის კითხვით.
მიწაზე ცვარიც ცრემლივით მწუხარე
შეიხუზული არის მოხრილის ოფლით.
ადამის წლიდან გლეხს მესაკუთრეს,
ახლდა სურნელი მიწის და სოფლის.
ყანა გაზრდილი აგვისტოს დამდეგს
იმედებს ცრიდა ქალალის ცვარივით.

და ბალახებზე ნამის სითეთრე
ცვარი როგორც ფრჩხვნილი მარილი.
მაგრამ მოსულა შემდეგ ქორიფა
წვიმა და ფესვებს ჩასვლია წყალი
და მოუსპიათ ღრუბლებს ბორიოტად
კვარი ციმციმალი და ნაპერწკალი.
ოოხი ვერ არკვევს მიწაზე ზემოთ
კაცის სიბრძნეს და რჩები უბირი.
ეხლა ვიგრძენი ნადურის გემო.
ჰაყეე და მოსჩანს გზა პირდაპირი...
ალამოს ახლდა სული ქონდარის
და გაზაფხულში ილტვოდა ხნული.
ხრიალა ხეებს ყურთან მოქონდა
ნადურით შრომა და ტრამული.
მტირალ დედაკაცს დაეცა ზაფრა,
შორით მოსჩანდენ ხნული ველები.
ველზე კი იდგა გარეკა და ჯაფი
როგორც ფუსფუსი ჭიანჭველების.
ხეებზე სხივა სტოვებდა ხეფსებს
ველზე ხდებოდა ერთობის შობა.
და იწვა გლეხის მომავალ მხრებზე
ცის ტატნობი და მარად სობა
მოთხრილს ნადურით მოუშვა გულზე.
ობოლ ეზოშიც აპრილი ყუფდა
და მომავალ გზის გაფანტულ შუქზე
ეძდო სახნისი და ლაპლაპებდა.

1930 წელი
სამეგრელო

# ძველი მეტეხი მოკვდა

ვალ. მგალობლიშვილი

თბილისში თბილი, მზიანი დღეა გვიანი შემოდგომის. მეტეხს წითელი დროშების ტყე არტყია. ამ მეტეხს, სადაც წინად საუკუნოდ მარხავდენ ამ დროშის მატარებელთ, მისთვის მებრძოლებსა და თავდადებულებს.

აბა ვის უნახავს, ვინ ახსოვს წარსულში მეტეხის საკნებიდან გადმოფენილი ან ქუჩებში ამართული წითელი დროშები ისე, რომ ამას არ მოჰყოლოდეს საუკეთესო კომუნარების წამება, კარცერი, კვირაობით სიმშილი, ცემა და ზოგჯერ სიკვდილიც კი

ახლა კი, — ახლა ყოველ საკანიდან ილიმება წითელი დროშა; ამ დროშების საერთო ხაზი ლამაზი არშიაა, რომელიც რკალივით არტყია ყოფილ საპყრობილეს, როგორც მის და მის მსგავს საპყრობილეთა კედლებში გამოწრთობილ კომუნართა ფოლადისებური ნებისყოფა საბჭოთა ქვეყანას.

გალავანის ყველა კარი ღიაა; ღიაა ყველა საბანი. ტფილისის მუშები, მუშა-ქალები, ახალგაზრდობა. რომელსაც არ უნახავს მეტეხი— ციხე, რევოლუციონერთა ეს სასაფლაო, ავსებენ ეზოს, ვიწრო დერეფნებს, საკნებს, დიდი ინტერესით ათვალიერებენ ყველაფერს.

მეფის დროინდელი ბნელი, ნესტიანი, ცივი საკნები და სარდაფები ახლა ცარიელია, შიგ ყველა თავისუფლად შედის და გამოდის; მაგრამ აქ ახლაც იგრძნობთ შავბნელი წარსულის იმ სიმწარეს და სისასტიკეს, რომლითაც უსწორდებოდენ მუშათა კლასის საუკეთესო შვილებს, საუკეთესო რევოლუციონერთ. ეს ჭუჭყიანი და ცივი კედლები, რომელთაც არა ერთი რევოლუციონერის წამება უნახავთ. დღესაც უხმოდ გადმოსცემენ მეფის ჯალათების „საგმირო" საქმეების ისტორიას. ყველა მშრომელის, მთელი მუშათა კლასის ზიზღითა და შეჩვენებითაა შეფერილი ეს კედლები, ეს საკნები, მთელი ეს ციხე. ამ კედლებში რევოლუციის საუკეთესო შვილებს გაუტარებიათ მრავალი დღე, სავსე ერთფეროვნებით, სიმშილით, ტანჯვით, მომავლის რწმენითა და გამარჯვების იმედით.

საუკეთესო მამები, დედები, ძმები და დები ამ ბავშვებისა, ახლა რომ თავისუფლად დარბიან ციხის ეზოში, ბნელ დერეფნებსა და საკნებში, წინად წლებს ატარებდენ აქ, მომავალი გამარჯვების რწმენით გადიოდენ აქედან, უფრო გაწრთობილი, უფრო მტკიცე და ფოლადისებური.

ალბათ მუსიკაც პირველად უკრავს კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლთა ჰიმნს „ინტერნაციონალს", რომლის ცეცხლოვანი სიტყვები აღვივებდა ბრძოლის წყურვილს, იტაცებდა ათასებს; ეს სიტყვები ბევრჯერ უმღერიათ ამ ციხის კედლებში დამწყვდეულ, ბრძოლის ჟინით ანთებულ კომუნარებს.

ახლა კი — ახლა „ინტერნაციონალის", აკომპანიმენტის ქვეშ ამხ. ერ. ბედია ხსნის მიტინგს. ახალგაზრდა სახალხო კომისარი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება თქვას პირველი სიტყვა ამ ისტორიულ მიტინგზე, ლაპარაკობს წყნარად, აუჩქარებლად. ისტორია ბნელია, შავი ამ ციხის კედლებივით. ამხ. ბედია მოკლედ იხსენებს ისტორიას და ახლო წარსულს უახლოვდება, წარსულს, როდესაც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების გამობრძმედილი ხელმძღვანელის ამხ. **ლავრენტი ბერიას** ინიციატივით გადაწყდა ამ ციხის გადაკეთება ხელოვნების მუზეუმად, გადაწყდა და შესრულდა კიდეც....

სულ ახლო ხანში მეტეხი — საპყრობილე იქნება ხელოვნების მუზეუმი.

ამ უბრალო, მაგრამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტშიაც კი მოსჩანს კომუნიზმის ცხოველმყოფელი ძალა, ოცნება, რომელიც სინამდვილედ იქცა. და მართლაც: მუშათა კლასის რამდენი საუკეთესო შვილი ოცნებობდა და ახლაც ოცნებობს იმაზე, რომ კაპიტალიზმთან ერთად მოისპოს მისი ერთ-ერთი აუცილებელი თანამგზავრი—ციხე, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა, კომუნიზმისათვის მებრძოლთა ეს სამარე, მათი ცოცხალი სასაფლაო.

ამხ. სილ. თოდრია განსაკუთრებით ამ მომენტზე ჩერდება თავის სიტყვაში.

— აქ ყოფნისას ბევრჯერ გვინატრია ის დრო, როცა შევძლებდით მეტეხი—საპყრობილეს მოსპობას, მის გადაკეთებას ისტორიულ ძეგლად, კულტურის კერად. და ძნელია გადმოვცეთ ჩემი უსაზღვრო სიხარული, რომელსაც დღეს განვიცდი იმის გამო, რომ ეს ჩვენი ნატვრა განხორციელდა — ამბობს ამხ. სილვ. დამსახურებული ტაშის გრიალი და მუსიკის ხმა ფარავს ამ კრიალა სიტყვებს.

მეტეხი — საპყრობილე—სკოლაც იყო. ამხ. **გიორგი ყურულაშვილმა** მოაგონა მიტინგს ის დრო, როდესაც ამ ციხის კედლებში იჯდა მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი **ამხ. სტალინი.** დიახ, ეს ნამდვილად იყო. რეაქციის წლებში,



18 ნოემბერს დიდის ზეიმით გაიხსნა მეტეხის საპყრობილე და ის გადაეცა საქ. განათლების კომისარიატს. ზეიმზე გამოცხადდენ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების, საქ. მრეწველობის საორგ. კომიტეტისა, წითელი არმიისა და პროფესიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. სურათზე მეტეხის ეზოში მოწყობილი გრანდიოზული მიტინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტეხის ციხე

ზ. დოლიაშვილი.

„ციხევ რათ გინდა რკინის კარები,
შენ იყავ ხალხის დამღონებელი“...
ძველ პატიმრების ლექსი.

სად, მოწინავე ხალხის სიცოცხლე
ბნელ საკნებში იფერფლებოდა,
სად, სალოცავით მეტეხის ციხე
ქალაქს მუქარით გადმოსცქეროდა.
ვინ იცის რამდენ გულს უკვნესია,
ვინ იცის რა ზღვა სისხლი დაღვრილა,
ვინ იცის რამდენს გასთენებია
მოულოდნელად სიკვდილის დილა...
ვინ იცის რამდენ ბოლშევიკს წინ,
იდგა საკანში ცრემლების გუბე,
იდგა საკანში ცრემლების გუბე,
და შეხვედრია გულდამშვიდებით
წარბ შეუხრელად სიკვდილის წუთებს.
ვინ იცის რამდენ გმირის თმა-წვერი,
ტყვიით მიწაზე გადაფენილა.
„ძირს, ჯალათები!... ვაშა, ჩვენს დროშას!...“,
მაინც გულიდან ამოხეთქილა.
შენ მოწამე ხარ ბევრი ციხის
დაუსრულებელ ტრაგიკულ ამბის,
სად, სიკვდილისთვის შეუწირია
მრავალი მსხვერპლი სისხლიან არწივს...
ძმებო, შევკრიბოთ და აღვადგინოთ,
გულშემზარავი იმ ხალხის კვნესა,
მრწამს მე ის ხმები შეერთებული
ლაღუმებივით დახეთქავს კლდესაც.

---

დღეს შევამსხვრიეთ თქვენი სორვილი,
შავ სამარიდან ადექით ძმებო,
მტარვალის ხელით დაცემულებო.
ხანგრძლივი ძილი ნუ თუ არ გეყოთ?!
ნუ გეშინიათ აღარ ჰყუდია
შავ სიკვდილივით მეტეხის ციხე.
დღის იქ კულტურის კერა შენდება,
მშრომელის ფრონტიდან უკან არ ვიხევთ.
ვანგრევთ, ჩვენ მტრის საპყრობილეებს,
თუმცა კლასიური ბრძოლის ველია.
მტერი რას გვიზამს, პარტიის ირგვლივ
მოშათა კლასი უძლეველია...
დახოცილ გმირთა ძვალი ანდერძი
დროშად აღმართა თვითონბერიამ,
თერამეტ ნოემბრის პირველ საათზე
მეტეხის ციხის ოქტომბერია!...

გამხეცებული თვითმპყრობელობა სხვა რევოლუციონერებთან ერთად მეტეხში ამწყვდევს ამხ. სტალინს, მაგრამ რა გამოვიდა. ამხ. სტალინის მისვლისთანავე მეტეხი გადაიქცა რევოლუციის ტეხად, ბოლშევიზმის სკოლად. ციხემ და პირქუშმა კედლებმა ვერ გასტეხეს ურყევი რევოლუციონერის ფოლადის ნებისყოფა, ვერ მოდრიკეს იგი. პირიქით. ამხ. სტალინმა მეტეხში მოაწყო წრე, სადაც მისი ხელმძღვანელობით მეცადინეობდნენ რევოლუციონერი მუშები, სწავლობდნენ მარქსს, ლენინს, სამხედრო საქმესაც კი, რომ საჭიროების შემთხვევაში, რევოლუციური თეორიით აღჭურვილებს, იარაღით ხელში დაემხოთ თვითმპყრობელობა. აბა რას მოიფიქრებდნენ მეფის აგენტები, რომ მეტეხის პირქუშ კედლებში მომწყვდეული ფოლადის კაცი ბრძოლისათვის გაწვრთნიდა ათეულ და ასეულ ამხანაგს, რომ ამ კედლებს შიგნითაც იჭედებოდა რევოლუციის ურო.

ბევრი რევოლუციონერი გამოიბრძმედა მეტეხის კედლებში, კიდევ უფრო გაიზარდა, ჩაიწვრთნა, შეიარაღდა თეორიით. ბევრმა გაიარა ამ ცივ და ბნელ დერეფნებში, ისუნთქა აქაური მოწამლული ჰაერი, დალია აყროლებული წყალი, გადაიტანა ტანჯვა, დამცირება, სიმშილი და ბრძოლიდან გამარჯვებით გამოვიდა. ამათ რიცხვს მიეკუთვნება რევოლუციის დიდი მწერალი **მაქსიმ გორკი**, რომელიც 1893 წელს იჯდა აქ; რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი, საყვარელი **კამო**, რომელიც ბორკილდადებული მოიყვანეს აქ 1909 წლის 13 ოქტომბერს. ერთ წელიწადი აწამეს იგი ჯალათებმა მეტეხში. ყველაზე უსაშინელესი საშუალებებით, რასაც კი მისწვდებოდა გამხეცებული ადამიანის გონება. ცდილობდნენ გაეტეხათ აქ კამოს ნებისყოფა, ეძიათ შური. სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ არაფერი გაუვიდათ, ჯალათები აქაც მოტყუვდნენ. ნამდვილი რევოლუციონერის სიმტკიცით აიტანა კამომ ეს ტანჯვა და თავისი საქმე ბოლომდე მიიყვანა.

კამო მოესწრო საკუთარი კლასის გამარჯვებას, მეტეხის ციხიდან მის თანამებრძოლთა განთავისუფლებას; ამით იყო იგი ბედნიერი..

მაგრამ მტრის ვერაგული ტყვიით განგმირული აქ დაეცნენ საქართველოს კომუნარები. **ლადო კეცხოველი** პირველი გვაგონდება მათგან.

**ლადო კეცხოველი**. ბევრს ლაპარაკობს ეს ორი სიტყვა, რევოლუციური ცეცხლის ალზე ამოკვეთილი და მეტეხის კედლებში გამომწყვდეული. ლადო 1902 წლის ბოლოს დააპატიმრეს და მიიყვანეს მეტეხში. მუდამ დაუდეგარმა და ურყევი ნებისყოფის რევოლუციონერმა აქაც არ მოისვენა. 1903 წლის 15 ივლისს პატიმრებმა მისი ხელმძღვანელობით მეტეხში მოაწყვეს „არეულობა“. შეუდრეკელი იყო ლადო, მასთან ხალისიანი, მხიარული. ამ ციხის კედლებს ახსოვს მისი იმედიანი სიმღერა, რწმენა მომავალი დღისადმი, ახსოვთ სიტყვები, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა ლადოს:

В стране подавленной бесправьем,
Вам слышно-ль, близок ураган;
То в смертный бой с самодержавьем,
Вступает русский великан»...

ლადო ვერ მოატეხა ციხემ. ციხეშიაც იყო მასში ურყევი ნება და ენთო რევოლუციური ცეცხლი, რწმენა მომავლისადმი, ბრძოლისადმი; მაგრამ მას არ დააცადეს; როგორც თვითმპყრობელობისათვის საშიში რევოლუციონერს, რომელიც აჯანყებდა ციხესაც კი, მას ადრე მოუსწრაფეს სიცოცხლე. მეფის შეუბრალებელი მონის-ციხის გუშაგის ხუ-

თმა ტყვიამ 1903 წელს, 17 აგვისტოს სამუდამოდ განგმირა მისი გული.

...და რამდენი ასეთი რევოლუციონერი დაეცა ამ კედლებში, დაიღუპა ფიზიკურად; მეტეხი — ციხე იყო, ნამდვილი ციხე ისე, როგორც მეფის რუსეთი იყო ხალხთა ციხე.

რუსეთს—საპყრობილეს, გააჩნდა შესაფერი ციხეები. აბა წარმოიდგინეთ სურათი: „კარცერი არაფრით არ ჩამოუვარდება საყინულეს; ეს არის ვიწრო და ბნელი და წრამოადგენს ბაღლინჯოების და სხვადასხვა მებენართა სამფლობელოს; გაროზვილ და ნაცემ ტუსაღს შეაგდებდენ კარცერში; ცემა-ტყეპისაგან ღონემიხდილ პატიმარს ზურგიდან სისხლი სდის. ტუსაღების ტანჯვა-წამებისა, ყვირილისა და ჩხუბისაგან შეძრწუნებულია მთელი მიდამო. სიცივეს აორკეცებს ტიტველა ფეხებზე რკინის ზოდების მოჭერა. კარცერში ჩავდების დროს ტუსაღებს ართმევენ ფეხსახვევს და თასმებს, რითაც ჯაჭვებს აბამენ წელზე; ადამიანს სიცივე იტანს, კანკალებს, გული ელევა ტკივილებისაგან. დაჯდომა მოუხერხებელია, ვერც მხართეძოზე წამოწვება კაცი; შეგიძლია მუცელზე და წოლილმა ცოტათი დაისვენო, მაგრამ ვაი ასეთ წოლას, ვერც ასე მოისვენებ როგორმე; გმინავ და იტანჯები, წუხილი ტვინს გიღრღნის; არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი ველარ უძლებს ასეთ საშინელ ტანჯვას და ყოველგვარ იმედ დაკარგული ყელზე შემოიხვევს პერანგის ყულფს და თავს იხრჩობს... („ზაქარია ჩოდრიშვილი" სახელგამი, 192 ? წ.)

ასეთი იყო რუსეთი — საპყრობილე, ასეთი იყო მისი ციხეები, სადაც იტანჯებოდა 150 მილიონი მშრომელი, ასეთი იყო მეტეხიც.

ასეთი იყო მეტეხიც.. დღეიდან იგი აღარ არის საპყრობილე. მისი საკნები ხელოვნების ძეგლთსაცავ მუზეუმად გადაიქცევა. რა ლამაზად, რა ტკბილად ჟღერს ეს სიტყვები, რა მშვენიერია მეტეხი, მეტეხი,—მუზეუმი.

მაგრამ ესე არ არის ყველგან...

მუსიკის ჰიმნის ქვეშ, როდესაც შესცქერით ძველი მეტეხს კედლებს, ერთი წუთით დახუჭეთ თვალი და გადაიხედეთ ჩვენ საზღვრებს გადაღმა.

ევროპა—ციხეა დღეს. საკონცენტრაციო ბანაკებითაა სავსე გერმანია; შეშლილთა სახლები საფრანგეთში სავსეა სრულიად ჯანსაღ და ჭკუათმყოფ ადამიანებით, რომლებიც ებრძოდენ ბურჟუაზიას. გამხეცებული ფაშიზმი რუსეთის მეფეზე შორს წავიდა, იგი მასობრივად აწამებს ასეულ რევოლუციონერს, საკონცენტრაციო ბანაკებში ერეკება



ძველი ბოლშევიკები რომლებიც მეფისა და მენშევიკების დროს ისხდენ მეტეხში: მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. ს. დოლიძე, ფილცხალავა, ჩხეიძე, ხომერიკი, ა. დოლიძე და ჯავაირა ხუტულაშვილი.

ფოტო დუდუშკის

მათ, „გაქცევის ცდის" მიზეზით ასალმებს სიცოცხლეს.

აი, ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკი საქსონიაში, ქ. კოლდიცში. „წინად ამ ქალაქში სულით ავადმყოფთა დიდი სახლი იყო—ჰყვება საქსონიელი წითელ ფრონტელი **ამხ. გურმან კელლერი**. სახსრების უქონლობის გამო იგი დახურეს. ავადმყოფებიც სადღაც გაქრენ. მათ ადგილას აღმოვჩნდით ჩვენ, ჯერ 500, შემდეგ კი 1200 კაცი. ცხოვრება კოლდიცში მიმდინარეობს წესების მიხედვით, ისე, როგორც სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში; მაგრამ ყოველ ბანაკში არის რაიმე თავისებურება იმისდამიხედვით, თუ რაზეა შეყვარებული ბანაკის უფროსი. ჩვენი ბანაკის უფროსს, მაგალითად მოსწონდათ ფეხების ბანა; მისთვის სულერთი იყო, რომ ჩვენ 26-26 კაცს გვეძინა თითო საკანში, ჭუჭყიან თივაზე, რომ კისერი ორთქლმავლის მილივით გვქონდა გაშავებული; კისერი მას არ შეეხებოდა, მხოლოდ ფეხები აინტერესებდა. სამჯერ დღეში იგი შემოდიოდა ჩვენთან და იძლეოდა ბრძანებას.

— საკანო, ფეხების დასაბანად იარ!

ამის გაგონებისთანავე ჩვენ, 26 კაცი, სირბილით უნდა ავსულიყავით მესამე სართულში, იქ ექვსი ტაშტი იდგა. ცივი წყალით ჩვენ ვისველებდით ფეხს და ისევ ქვევით გამოვრბოდით, უფროსი კი დამშვიდებული ხმით გაჰყვიროდა.

— გერმანიამ სუფთა ფეხებით უნდა იაროს!

იგი ხშირად აკვირდებოდა რომელიმე ჩვენგანის ფეხებს, სცემდა სახეში და ისევ ზევით მიერეკებოდა. ჩვენ მოზრდილები ხან შეშლილი ხალხი, დავრბოდით წინ და უკან და შეურაცხყოფისა და სასოწარკვეთისაგან ბავშვივით ვტიროდით.

...ჩვენთან არ ერიდებოდენ ცემასაც. ჩვეულებრივად გვცემდენ სახეში. დაკითხვის დროს დგამდენ სპეციალურ სკამს, რომელზედაც მიაკრავდენ ტუსაღს; ცალკე, პატარა თოკით, სკამზე მიაკრავდენ კისერს, რომ თავი არ გაგინძრია. სპეციალური ჯალათები აქ არაა, რადგან მოიერიშეები ყოველთვის მზად არიან. სკამის ახლოს მომზადებულია ორი ვედრო ცივი წყალი,—თუ ნაცემი ადამიანი შესწყვეტს მოძრაობას, მას წყალით „აცოცხლებენ".

აი მეორე სურათი, არა საკონცენტრაციო ბანაკის. ეს უკვე უმუშევართა ბანაკია ქ. ესსენთან, ალტერანის მახლობლად.

„ეს სიკვდილზე უარესია, ეს ყველაზე უფრო საშინელი სიკვდილია,—იწერებიან ამ ბანაკიდან უმუშევრები. ჩვენ ბარაკებში ვცხოვრობთ. ისინი საშინელია, ატანილი სიცივით, სიბინძურით, სიმყრალით, ჭუჭყით, მწერებით, სიმჭიდროვით. ჩვენ გვამუშავებენ დილის ხუთი საათიდან გვიან ღამომდე. ვამზადებთ ნიადაგს ვენახისათვის. ნიადაგი ქვაა. ამ ნიადაგს ჩვენ შიშველი ხელებით ვამუშავებთ. ჩვენ ჭუჭყიანი ვართ, ჩამოგლეჯილი ტანსაცმელით. ჩვენი ტანსაცმელი სულ გაცვდა. კვება საშინელია, მშივრები ვართ".

ახალი მეტეხის ეზოში გაგონდება ეს, გაგონდება და გჯერა, რომ კელლერები გაიმარჯვებენ, ციხის კედლებს გაარღვევს ტელმანი, განთავისუფლდება ამხ. დიმიტროვი, ტორგლერი; გერმანიის კომუნისტური პარტია შესძლებს დაანგრიოს დიდი საკონცენტრაციო ბანაკი —ფაშისტური გერმანია.

# ქარხანა ზესტაფონში

ნარკვევი: **ლევან ასათიანი**

## ღუმელები

ქარხნის მთავარ შენობაში ვართ.

ვიწრო ქვის კიბეებით ავდივართ სულ ზედა სართულში. აქ ქარხნის „სცენაა" — მოთავსებული.

ის ძალიან მოგაგონებს დიდი თეატრის სცენის ზედა ნაწილს, მაყურებელთათვის შეუმჩნეველს, საიდანაც გამართულია სცენისათვის დამხმარე ყველა მოწყობილობა: გასანათებელი თაღები, ბლოკები, მოძრავი ბაქნები, ასაშვებ-დასაშვები კონსტრუქციები და დეკორატიული მორთულობა.

აქაც, ქარხნის ზედა სართულზე მოწყობილია მანქანებისა და მილების რთული სისტემა, რომელიც აწესრიგებს ღუმელების სათბობ აპარატურის მოძრაობას და მუშაობას ქვედა სართულში. ეს სისტემა განაგებს მთავარ საზვრეველიდან მექანიურად აზიდულ მადნის განაწილებას.

ეს განაწილება ხდება ელექტრონის რონოდებით დიდ და მცირე ბუნკერებში, შემდეგ ავტომატიურ სასწორებში. აქედან კი სპეციალურ მილებსა და ღარებში, რომლებიც ქვევით, სადნობ ცეხში ეშვებიან.

სულ რაღაც 20 წუთის მანძილზე რამდენი ინსტანცია უნდა გაიაროს, რამდენი პერტრუბაცია უნდა განიცადოს მილიონ წლობით მიწის ბნელ წიაღში მშვიდად მძინარე მარგანეცმა, ქვანახშირმა და კირქვამ, რომ ბოლოს, საჭირო ულუფების მიხედვით ერთად არეულმა და სათანადოთ შეკაზმულმა მადანმა გრიალით და ხრიალით ჩაიაროს თავისი უკანასკნელი რეისი: ვიწრო ღარით ელექტრონის გავარვარებულ ღუმელში.

ჩვენც მივყვებით მადანს ამ უკანასკნელ სამოგზაურო მარშრუტს. ჩავდივართ ქვევით,—მეორე სართულში.

ეს სართული—სადნობი ცეხის სამფლობელოა.

აქ გამართულია ელექტრონის ვეებერთელა ღუმელები.

ორი მათგანი უკვე მზად არის გასაშვებათ, მესამე რამდენიმე თვეში დამონტაჟდება და ჩაებმება მუშაობაში.

სადნობი ცეხი ეს მთელი ქარხნის გულია.

ამ ღუმელებისათვის არის ამდენი ამბავი. ამ ღუმელისათვის აუშენებიათ ეს ვეებერთელა ქარხნის კორპუსი და უამრავი დამხმარე ნაგებობა მის გარშემო: რკინის გზები და ქვესადგური, ტრანსფორმატორები და ლაბორატორია, წყალსადენი და სახელოსნოები; კლუბი და სასადილო, კოოპერატივი და საავადმყოფო:

უბრალო კენჭი, რომელიც ამ ქარხნის ქუჩაზე ყრია, ყვავილის უმნიშვნელო ფოთოლიც კი, რომელიც ამ ქუჩის გაყოლებით დაურგავთ,— საბოლოოთ ამ ღუმელების ინტერესებს ემსახურება, ამ ინტერესებით არის გამართლებული.

დღეს სადნობ ცეხში დიდი სამზადისია. ამ საღამოს დაიწყება პირველი ღუმელის გახურება. ამ საღამოს ჩაურთავენ რიონჰესის დენს. მთელი უკანასკნელი კვირის განმავლობაში სწარმოებდა პირველი ღუმელის გამოცდა. ის გაისინჯა ყოველ მხრივ, გაისინჯა ფრთხილად. დაკვირვებით, გულმოდგინეთ, ღუმელმა თავისი გამოცდა წარმატებით დაიჭირა. ის ხვალ დებიუტანტია, ხვალ მან უნდა მოგვცეს თავისი პირველი პროდუქცია. პირველი შენადნობი, პირველი ფერო-მარგანეცი.



ფერო-მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში
გადამდნობ ღუმელში გადასატვირთავად კონვეიერიდან მადანის მილები კოშკი.
ფოტო: ევტეევის.

დღეს საღამოს ჩაურთავენ დენს. მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება ღუმელის გახურება. დილიდან კი გავარვარებულ ღუმელში პირველად ჩაყრიან ნედლეულის კაზმს ანუ, როგორც ქარხანაში ეძახიან—შიხტას: ერთად არეულს — რკინის მადანს, მარგანეცს, კირქვას ქვანახშირს.

ხვალ დილის ოთხ საათზე პირველი შენადნობი გადმოიღვრება ღუმელის ხვრელებიდან.

სამი წლის ოცნება, სამი წლის უპოვარი და თავგანწირული ბრძოლა ქარხნის ენთუზიასტებისა, ხვალ გამოიღებს თავის პირველ ნაყოფს.

უამრავი ფიზიკური და სულიერი ენერგია, გულმოდგინე და თავდადებული შრომა, რომელიც დაუხარჯია ახალგაზრდა კვალიფიურ მუშა მეტალურგების დამკვრელ ბრიგადებს და საქმის სიყვარულით გატაცებულ ინჟინერთა ნორჩ თაობას— ხვალ გვიჩვენებს სანატრელ შედეგს.

დღეს კი — ემზადებიან ამ ხვალისათვის.

ღუმელის გარშემო საქმიანი ფუსფუსია. აქ არიან ინჟინერები: ლიზიკო ნადირაძე (მგონი პირველი მეტალურგი ქალი საქართველოში), ილიკო ნიჟარაძე, ვასო ჩიტაძე. აქვე ღუმელის გარშემო ტრიალებს დამკვრელი ბრიგადა მონობელ მუშებისა და ბრიგადირ შალვა ლორიას ხელმძღვანელობით. ეს ის მუშებია, ჩელიაბინსკის ქარხნებში რომ მიიღეს თავისი კვალიფიკაცია. ეს პირველი მეტალურგი მუშებია საბჭოთა საქართველოში, პირველი მერცხლები საქართველოს მძიმე ინდუსტრიულ პროლეტარიატისა.

ჩვენ არ გვინდა მათ გაფაციცებულ სამზადისს ხელი შევუშალოთ.

გამოვდივართ ქარხნის შენობიდან, ჩვენ გვსურს ვნახოთ ქარხნის მთავარი დამხმარე ნაწილებიც, ეს არის რიონჰესის ქვესადგური და წყალსადენი.

## ელდენი და წყალი

ქარხნის გვერდით ქვესადგურის ორ სართულიანი შენობაა გამოჭიმული. მის გადაღმა ორი მაღალი ანძა აყუდებულა. ეს ზაჰესის და რიონჰესის უკანასკნელი ანძები შეყრილან პირისპირ. ორივენი მავთულების ხშირი ქსელით გადაბმიან ფეროს ტრანსფორმატორებს. აქნამდის თუ ზაჰესის ენერგია ასულდგმულებდა ქვესადგურს, ეხლა მას ახლოთ დამთავრებული რიონჰესი მოშველებია.

ქვესადგური ეხლა რიონჰესის დენით კვებავს ფეროს, სურამის ელექტროფიცირებულ უღელტეხილს, კასპის ქარხანას. ზაჰესი განთავისუფლებულია. მას შეუძლია თავისი ათიულ ათასი ცხენის ძალები ტფილისის ფაბრიკა - ქარხნებს მოახმაროს.

ფეროს ქარხანა ეხლა მთლიანად რიონჰესის ენერგიაზე იწყებს მუშაობას. მისი თითო ღუმელი 7.500 კილოვატს ენერგიას მთანთქავს. როდესაც ქარხანა მთლიანად დასრულდება და მისი ყველა 18 ღუმელი

დაიწყებს მუშაობას, მას რამდენიმე ოთხმეტიც აღარ ეყოფა.

ქვესადგურის ახალგაზრდა გამგე ინჟ. ლევან გაჩეჩილაძე დაწვრილებით გვაცნობს თავის დანადგარებს, და განმარტებით გვიხსნის ყოველი დეტალის მნიშვნელობას და ჩვენს ცნობიერებაში შედის საიდუმლო ამპერები და ვოლტები, კილოვატები და კვანძები, დენი და ძაბვა.

— საინტერესოა, — გვაფრთხილებს ამხ. ლევანი, — ახლოს არ მიხვიდეთ. ის გვიჩვენებს სპილენძის ვეებერთელა გამტარებს, რომლითაც ჯოჯოხეთური სიმძლავრის დენი შემოდის რიონჰესის ანძებიდან. ქვესადგურში სიჩუმეა და ჩვენც უნებური კრძალვით და ცოტა არ იყოს შიშითაც გამსჭვალულნი ფრთხილად მივყვებით გამტართა გასწვრივ ვიწრო ბაქანს.

ქვესადგურის სამხრეთით კიდევ რაღაც ქვის შენობა აუგიათ. მას წინ ცემენტის მაღალ-კედლებიანი ფართე და ოთხკუთხა გალავანი აქვს მოშენებული.

— ესეც ჩვენი წყალსადენია, — გვიხსნიან ჩვენ. შევდივართ წყალსადენში. გვერდით მას ვეებერთელა ჭა ახლავს. ამ ჭიდან დიდი საქაჩავი მანქანებით იღებენ წყალს და აგზავნიან ამ გალავანში, ჩვენ რომ ვნახეთ. ავდივართ გალავანის კედელზე. ბიჭოს, ეს ხომ აუზები ყოფილა. მთელი გალავანი რამდენიმე პარალელურ აუზად არის დაყოფილი. თითო მათგანში, ცარიელი რომ იყოს, იქ ბილიარდი გაჩნდება. ამ აუზებში იწმინდება წყალი, ილექება და გასუფთავებული იგზავნება ქარხანაში.

— წყალსადენის დებეტი დღეღამეში 1.5 მილიონ ვედროს უდრის, — გვეუბნება წყალსადენის გამგე, ახალგაზრდა ინჟინერი. (სავულისხმოა და დამახასიათებელი: ამ ქარხანაში როგორც მუშების, ისე საინჟინრო-ტექნიკური ძალების კადრი უმთავრესად ახალგაზრდობისაგან შესდგება).

ჩვენ გვაკვირვებს ამ წყალსადენის სიმძლავრე: გვაგონდება, რომ ნატახტარის დებეტი ჯერ-ჯერობით დღე-ღამეში უდრის მხოლოდ 2,5 მილიონ ვედროს.

წყალსადენთან მოწყობილია სარეგულაციო განყოფილება. აქ სპეციალურ გიგანტ-ქვაბში მზადდება კირნარევი სითხე, რომელიც აუზებში იგზავნება წყლის დასაწმენდათ.

უკვე სამი საათი სრულდება. მუშაობის გათავების შემდეგ ჩვენს ბრიგადას შეხვედრა აქვს დანიშნული ქარხნის დამკვრელ მუშებთან.

ჩვენს ვეთხოვებით წყალსადენის გამგეს და მივდივართ კლუბისაკენ.

## გაზეთი „წითელი მდნობელი“

გზაზე ქარხნის წინ, გამოკიდებულია კედლის გაზეთი „წითელი მდნობელი“. ჩვენს განკარგულებაში საკმარისი დროა კიდევ და ცნობისმოყვარეობით ვკითხულობთ გაზეთს.

რას სწერენ მუშები თავის ორგანოში, რას უჩივიან ისინი?

— ბინები არ გვყოფნის,—სწერს ერთი,—იძულებული ვართ ლამის სათითაოდ ვიაროთ შორს. სოფელში, დილით ხშირად ტალახიანი გზის წყალობით დაღლილები ვბრუნდებით სამუშაოზე. ზამთარში გვაგვიანდება. სანამ ასეთი მდგომარეობა გრძელდება, საჭიროდ მიგვაჩნია ქარხნის საყვირი ერთი საათით ადრე მაინც დაიძახებდეს ცვლის დაწყების შესახებ.

— გვაკლია სამუშაო იარაღები— სწერს მეორე მუშა.—ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს წერაქვების და ნიჩბების შეძენისათვის.

წერაქვების და ნიჩბების შეძენა ძნელი საქმე არ არის. გაცილებით უფრო მწვავედ დგას ბინების საკითხი. ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელობამ აქეთ უნდა მიმართოს მთელი თავისი გულისყური.

ქარხანა უკვე შედის ექსპლოატაციაში, კადრი მუშებისათვის კი ადმინისტრაციას ბინები არ გააჩნია. მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს სამი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა საბინაო მშენებლობის ტემპების დაჩქარება, მით უმეტეს, რომ გეგმის მიხედვით 1936 წლის პირველი ნახევრისათვის ქარხანასთან 50 საცხოვრებელი შენობა უნდა იქნეს გაშენებული.

ჩვენ განვაგრძობთ გაზეთის კითხვას.

მუშა სწერს პატარა შენიშვნას, ის აღშფოთებულია მოლარე ოქრობლიძის ბიუროკრატობით. ეს ვაჟბატონი მუშებთან ლაპარაკსაც არ კადრულობს. ნახევარ-ნახევარ საათს ელოდებიან მისგან პასუხს. როგორ მოგწონთ, ჰა? მუშები დღე და ღამეს ასწორებენ, აღფრთოვანებით იგებენ სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტს, იბრძვიან საწარმოო-საფინანსო გეგმების უკლებლივ შესრულებისათვის, მათთვის ძვირფასია მუშაობის და დასვენების ყოველი წუთიც. ამ დროს კი ვიღაც ბიუროკრატი მოხელე, ვიღაც მშენებლობაზე შემთხვევით შემოპარებილი „ქუდი“ აი ვისაც ქედმაღლობა ანერვიულებს და აღიზიანებს მათ.

კედლის გაზეთის რედაქციამ, მაგრად [illegible] ყველას, ვინც ხელს უშლის მუშებს, ვინც ბედავს მათი კულტურული წონასწორობის დარღვევას.

აღმშენებლობა ტფილისის გარე-უბანში.



მაუდის ფაბრიკის ტერიტორიაზე მთავრდება ინჟ.-ტექ. მუშაკებისათვის 12 ბინიანი სახლის მშენებლობა

ფოტო: დ. ტეპეიან.

ვინც ფეხებში ებლაუქება მშენებლობის გმირებს. ამ გმირებში იციან თავიანთ ფასი, თავისი მუშაობის მაღალი მიზანი და დანიშნულება. და აქ სწერდნენ კიდეც ამავე გაზეთში თავიანთ პოეტის ხელით.

„ჩვენი ქარხნით ბევრს ქარხანას
აწი ავაგრიალებთ
და მშრომელის გლახა-ს მდომელს
მოესპობთ გავატიალებთ.

—:—

ძმებო ხელი ხელს ჩავკიდოთ
ლითონი დავატრიალოთ
მტკიცე კომუნიზმის დროშა
მაღლობის ავაფრიალოთ.

გამოცდილი თვალით ჩვენ ვამჩნევთ გაზეთის მთელ რიგ დეფექტს, რომელიც უნდა გამოასწოროს რედაქციამ.

ჩვენ გვინდა დავასახელოთ მთავარი ტექნიკური ხასიათის ნაკლი. გაზეთი დაწერილია ცუდი, ძნელად გასარჩევი ხელით. ასეთი „ბატის ხელით" გადაწერილი გაზეთი მუშებს ვერ მიიზიდავს. პირიქით დააფრთხობს მათ და შეაძულებს გაზეთის კითხვას.

ნუ თუ ამ გრანდიოზულ მშენებლობაზე, მუშათა ერთად-ერთი ორგანოს რედაქციამ ვერ მოახერხა თავისი გაზეთის მანქანაზე გადაბეჭდვა? ეს გარემოება უსათუოდ რედაქციის სისუსტის მომასწავებელია. ტექნიკური ხასიათის ხშირად პრინციპიალურ მნიშვნელობას იღებს.

ასეთი დეფექტი კლავს გაზეთს, ადუნებს მის სიმახვილეს.

## ლაბორატორია და კლუბი

ჩვენ განვაგრძობთ გზას. კლუბის მახლობლად აგურის გრძელი შენობაა. ეტყობა ახალი აგებულია. მის ფანჯრებს ჯერ კიდევ არ ჩამოცლია ტალახი და კირი. ეს ქარხნის ლაბორატორიაა.

კარებში დგას მაღალი ახალგაზრდა კაცი. ის ელაპარაკება წინსაფრიან მოხუც ოსტატს, მაღალი კაცი გაჯავრებულია. ჩვენ მას ვცნობილობთ.

შევდივართ ლაბორატორიისაკენ. ქიმიკოსი ვახტანგ ოთხმეზური ხმამოსულია, ის გვიჩვენებს ლაბორატორიის ოთახებს, რომელიც სავსეა სალაშინის ხამურით და ბურბუშელით. ხვალ ქარხანა ამუშავდება. ლაბორატორია კი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული მაშასადამე ქიმიკოსს საშუალება არ ექნება ანალიზების წარმოების!

ინჟინერი ოთხმეზური ქარხნის ერთი საკუთესო ახალგაზრდა სპეციალისტთაგანია. მან ცხრა წელიწადს ისწავლა და იმუშავა გერმანიაში. იხლა ის ქარხნის ენტუზიასტია. მთელის გატაცებით, ახალგაზრდული ენერგიით ის მოწადინებულია თავისი ცოდნა და უნარი მოახმაროს თავისი სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობას. მისი გერმანული შრომის მოყვარეობა ვერ ითმენს იძულებითი უმოქმედობას, რაც გაეწყობა ის იბრძვის თავისი ლაბორატორიის ჩქარა დამთავრებისათვის.

— კიდლის გაზეთში მაინც გაწერეს, — ღიმილით ამბობს ოთხმეზური, — ლაბორატორიის დაგვიანებაში მე მითვლიან ბრალად! სჩანს უფრო ენერგიულად უნდა ვებრძოლო ადმინისტრაციას, რომ დაკვრითი წესით დაამთავრონ ლაბორატორიის მშენებლობა.

ლაბორატორიის პირდაპირ ორსართულიანი, თეთრი შენობაა წამოჭიმული. მას ფართე კიბეებიანი შესასვლელი აქვს, ეს კლუბია.

შენობა ყურადღებას იპყრობს თავისი სიდიდით. შევდივართ შიგნით, მარჯვნივ დიდი და ნათელი სასადილოა გამართული. მარცხნივ დარბაზშიც გრძელი მაგიდებია დადგმული, სუფთა სუფრებით გადაფარებული. დარბაზში პალმები დგას. მაგიდებზე ყვავილებიანი ქოთნები. ეს დამკვრელთა სასადილოა.

მეორე სართულზე მოთავსებულია თეატრი. ტევადობით ის გაცილებით აღემატება მარჯანიშვილის თეატრს. მეორე სართულზე თეატრის მარცხნივ და მარჯვნივ ოთახებში მოთავსებულია სამკითხველო, კლუბის სხვადასხვა სექციები, აგრეთვე ქარხკომი და პარტკომი.

ჩვენ შევდივართ ქარხკომის ოთახში, მუშებიც მოდიან სათითაოდ

# განთავისუფლებული ოქროს საწმისი

ნარკვ. კოლხიდმშენზე: ვლ. ზამბახიძე

## ლაქაშებიდან ჰერანამდე *)

1828 წ. რუსეთის იმპერატორის ჯარები ფოთის ციხეს მოადგენ.

გაჩაღდა ბრძოლა ხელჩართული და დაუნდობელი ოსმალებსა და რუსებს შორის.

თოფის წამლის სუნით გაჟღენთილ ჰაერს დასავლეთის ქარმა დაჰბერა და რუსთა ბანაკში შემოაპარა სურნელება, ჩრდილოელთათვის უცნობი და მათრობელი.

ნეტა რა მცენარის უნდა იყოს ის? რა ბედნიერება იქნებოდა ციხის კედლებს მიფარებულ ყვავილნარში ერთხელ მაინც ნებივრად გავლა?

მაგრამ ამისათვის საჭიროა, აი იმ რკინის კარების დალეწვა და ვინ იცის, ამის შემდეგ მეოცნებეთა შორის ვის ხვდება წილად „სულის" შენარჩუნება და საოცნებო ყვავილების საკუთარ ხელით გულზე დაბნევა?

შეტევა განახლდა. თათრები ვაჟკაცურად იგერიებდენ მტერს, მაგრამ ბოლოს „რაოდენობა თვისებად იქცა" და ციხის მცველები მოპირდაპირეს დაჰნებდენ.

დაპყრობილ ქალაქში, რუსებმა აღმოაჩინეს პომერანცის ხის, ლიმონისა და ფორთოხლის ნამყენები და მაშინ პირველად იშვა აზრი იმის შესახებ, რომ აქ გაშენებულიყო ციტრუსოვანი კულტურები. ამ მიზნით ტრაპეზუნდიდან გამოიწერეს 600 ძირი ფორთოხლისა და ლიმონის.

ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ 1853 წლის ომის დაწყებამდე ფოთში იყო 500 ძირი ფორთოხლისა და ლიმონის და თითოეულ მათგანზე ნაყოფი ჩხოთ იყო მოყრილი. ჩვენამდე მოღწეულ ცნობებით ეს ნამყენები გაანადგურა 1874 წლის ზამთრის ყინვამ და მოუვლელობამ.

შემდეგაც ასე თუ ისე ზრუნავდენ, შავი ზღვის პირად, ციტრუსოვან და სუბტროპიკულ კულტურების მოვლა - გაშენებაზე, მაგრამ ეს გრძელდებოდა 1914 წლამდე, ვიდრე საერთაშორისო ომი დაიწყებოდა. იმპერიალისტურ ომის პერიოდში ეს საქმე დავიწყებას მიეცა და მისი ნამდვილი აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება.

* *

სუბტროპიკულ კულტურებს საბჭოთა მეურნეობის პირობებში უდიდესი ეკონომიური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

საკავშირო მრეწველობის მოთხოვნილება სუბტროპიკულ მცენარეთა ნედლეულზე უაღრესად დიდია.

განა ისე შორსაა ის დრო, როდესაც ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ საბჭოთა ქვეყნის მრეწველობისათვის საჭირო სუბტროპიკულ კულტურათა ნედლეული უცხოეთიდან უნდა შემოგვეტანა?

*) დასასრული იხ. „დროშა" № 21—22

ჩვენი წარმოება კატეგორიულად მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სუბტროპიკულ კულტურათა მეურნეობის მიმართ, რადგან ჩვენ მათემატიკური სისწორით უნდა გვქონდეს გათვალისწინებული არა მხოლოდ შინაური ბაზრის მოთხოვნილება, არამედ საერთაშორისოც.

ჩვენი მიზანია მივაღწიოთ სრულ დამოუკიდებლობას სუბტროპიკულ კულტურათა ნედლეულის დამზადებაში, არ ვხარჯოთ ამისათვის ოქრო და ბოლოს მისი იმპორტი — ექსპორტით შევცვალოთ.

***

კოლხეთის დაშრობილ ჭაობების ათი ათასეულ ჰექტარზე გასაშენებელ სუბტროპიკულ კულტურათა ასორტიმენტი მრავალფეროვანია: ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, კინკანები, ბიგარიდი, ციტრონები და სხვ.

**ლიმონის** ნორმალური ზრდისათვის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი—2—3 გრადუსზე დაბლა არ უნდა ჩამოდიოდეს. ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არ არის არც კოლხიდაში და არც კალიფორნიასა და ფლორიდაში. ტემპერატურის ბუნებრივი დანაკლისის შესავსებად იტალიის გამოცდილების მსგავსად უნდა მივმართოთ ხელოვნურ გათბობას.

გარდა ამისა საჭირო იქნება ხშირი ტყის საფარის აღმართვა აღმოსავლეთით, რადგან ქარისაგან განსაკუთრებით ზიანდება ლიმონი.

ფოთში უკვე გაშენებულია 7330 ძირი ლიმონის პლანტაციის პირველი საცდელი ნაკვეთი 13,5 ჰექტარის რაოდენობით.

**გრეიფრუტი** ლიმონთან შედარებით მეტი გავრცელების ამტანი ვაჟკაცია. მას ფასიც დიდი აქვს და გამძლეობითაც შეუძლიან დაიკვებნოს. ამიტომ მისთვის გამოყოფილი იქნება 1500—1700 ჰექტარი და ის უმთავრესად გაშენდება ფოთის რაიონში, როგორც შედარებით ყველაზე თბილში. საცდელად 1933 წ. ახალ სოფელში დარგულია გრეიფრუტის 2750 ძირი. სულ მალე, კოლხეთის ოდესღაც ლეღმიან ნაპირებიდან გატანილი გრეიფრუტის ანგარიშში ჩვენ მივიღებთ ევროპისა და ამერიკის მანქანათმშენებლობის ქარხნებში დამზადებულ საიმპორტო ხელსაწყოებს.

***

გასულ წლის ოთხმოციანიან წლებში აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გაემგზავრა აგრონომ **კლინგანის** ექსპედიცია. **კლინგანმა** ამ მგზავრობიდან სხვადასხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად ციტრუსოვანი მცენარეებიც ჩამოიტანა, მათ შორის კი უთესლო ე.წ. „უნშიუსი"-ს, იაპონური ჯიშის მანდარინი, რომელმაც სხვა კულტურებს შორის ბათომის მხარეში საპატიო ადგილი დაიჭირა.



არხის სათხრელი მანქანა „ლუბეკ" კოლხიდის სამუშაოზე

ფოტო **შაანოვის**

„უნშიუსი" სულ მალე მთავარ სამრეწველო ჯიშად იქცა და ხმარებიდან განდევნა ევროპული იტალიური მანდარინი.

ჩაქვის სუბტროპიკულ მეურნეობაში „უნშიუსის" პლანტაციები ზღაპრულ სისწრაფით იზრდებოდენ და თუ 1901 წ. ბათომში სულ ია ათას ძირამდე მოიძებნებოდა, 1912 წელს მისი რაოდენობა უკვე 200 ათასამდე აღწევდა.

„უნშიუსის" გაშენებასთან იქნა დაკავშირებული რაღაც ფანტასტიური სიმდიდრისა და ბედნიერების მოხვეჭის შესაძლებლობა. მის გარშემო გაიმართა ნამდვილი აჟიოტაჟი და ადამიანები ათასობით მიეშურებოდენ შავი ზღვის ნაპირებისაკენ შორეულ სოფლებში გაყიდულ ავლა-დიდების საფასურით იძენდენ აქ მიწია ნაჭრებს და დღე-ღამეს ასწორებდენ მანდარინის ბუჩქის მოვლაში.

ასე გრძელდებოდა 1914 წლამდე. იმპერიალისტურმა ომმა ამ საქმესაც დაადო ხუნდები. „უნშიუსი"-ს ექსპორტი საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზრებზე დაიწყო მხოლოდ 1927 წლიდან და ყოველ სეზონზე მარტო ბათომის გარშემო მდებარე მამულებიდან გაჰქონდათ ის 90 ვაგონის რაოდენობით.

ჩვენი ქვეყნის მშენებლობის წინსვლასა და ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნილება ციტრუსოვან კულტურების მიმართაც.

ამიტომ კოლხეთის დაბლობზე განზრახულია „უნშიუსის" უდიდესი პლანტაციების გაშენება (13.000 ჰექტ.).

მანდარინი ყინვების ყველაზე ადვილად ამტანი მცენარეა. მასთან ნიადაგის მიმართაც მისი „პრეტენზიები" შედარებით მცირეა. ის მშვენივრად ნაყოფიერდება თიხოვან ადგილებშიაც.

***

სუბტროპიკულ კულტურათა შორის რენტაბელობის თვალსაზრისით პირველი ადგილი **ჩაის** უჭირავს. ჩაის კულტურას და წარმოებას თითქმის საუკუნებრივი ისტორია აქვს, მაგრამ ამ მცენარის გაშენების საქმეს დამსახურებული ყურადღება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიექცა.

მეფის რუსეთში ჩინეთიდან და ინდოეთიდან ყოველწლიურად შემოჰქონდათ 70 ათასი კილოგ. ჩაი, რომლის ღირებულება დაახლოებით 40 მილ. მან. უდრიდა ოქრ. ბათომის მიდამოებში ახლად ფეხმოკიდებულ ჩაის მამულებს მეტად უმნიშვნელო როლი ქონდა მინიჭებული და არავითარ სერიოზულ იმედებს მასზე არ ამყარებდენ. იმპერიალისტური ომის დაწყებისას აჭარისტანსა და გურიაში ჩაის კულტურას მოკავებული ჰქონდა მხოლოდ 1600 ჰექტარი. სულ რამოდენიმე წელია, რაც საბ. „საქართველოს ჩაი" ჩამოყალიბდა და ჩაის საქმეც მხოლოდ ამის შემდეგ შესდგა მტკიცე წინსვლის ფართო გზაზე.

ჩაის მიმართ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებლად საჭიროა მიწის 120.000 ჰექტარი. მაგრამ საჩაი

ფართობის არსებული რაოდენობა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შესძლებს. ამიტომ აუცილებელია: 1) ჩაის კულტურისათვის გამოსაყენებელ ახალ ფართობების გამოძებნა და 2) აგროტექნიკის დონის ამაღლება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ ჩაის კულტურისათვის გამოყენებულ შეიძლება იქნეს ტორფოვანი და ჭაობიანი ნიადაგიც. ამიტომ, ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგას საკითხი კოლხეთის დაბლობის საჩაიეთ უტილიზაციის შესახებ, რომლის ნიადაგი დოქტორ მანნის ცნობებით „სტრუქტური· მხრივ ძალზე წააგავს კაჩარისა და ინდოეთის ჩაის პლანტაციების ნიადაგს". მთლიანად ჩაის პლანტაციისათვის კოლხეთის დაბლობზე გამოყოფილ უნდა იქნეს 24.000 ჰექტარი (ნეტტო).

**რამის,** სხვაგვარად ჩინურ აბრეშუმს უწოდებენ. რამისაგან შესანიშნავი და მაღალხარისხოვანი ფართლეული მზადდება, მაგრამ მისი არსებობა განსაკუთრებულ მეტეოროლოგიურ პირობების გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია. რამის კულტურა ვეგეტატიურ პერიოდში მოითხოვს ტემპერატურის ჯამს 4000 გრადუსამდე.

მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი კუთხე, რომელსაც რამის ეს მოთხოვნილება შეუძლია გადაჭარბებითაც დააკმაყოფილოს, არის დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, სადაც ეხლა ისტორიულ ჭაობების დასაშრობად იბრძვიან შრომის გმირები.

არსებულ ლიტერატურულ ცნობებით რამის შეუძლია აიტანოს ტემპერატურის აბსოლუტური დაცემა— 15 გრადუსამდე ცელსიით, ხოლო უკანასკნელ 52 წლის დაკვირვებებით დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობზე ტემპერატურის მაქსიმალური დაცემა 15 გრადუსს უდრიდა ცელსიით. ნიადაგის მხრივაც კოლხეთის დაბლობი რამისათვის ფრიად ხელსაყრელია.

რამის კულტურა კოლხიდის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს დაიჭერს. მისი ფართობი 120.000 ჰექტარს გადააჭარბებს, ე. ი. რამის დაეთმობა ყველა ის ადგილები, რომელიც ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციებს გადარჩება.

მაგრამ განა მხოლოდ რამის, ჩაისა და ციტრუსებს მოუვლიან და დაავაჟკაცებენ აქ?

ფოთის რაიონში ფართოდ განვითარდება ნაადრევი და საზამთრო მებოსტნეობა. ამის შემდეგ საბჭოთა თითოეულ მშრომელს ექნება სრული შესაძლებლობა, ნედლი ბოსტნეულით ისარგებლოს მთელი წლის განმავლობაში და ოფლმოდებული



კოლხიდმშენის ხაცედელ - ადგილური ტუნგ-ტოთი პლანტაცია ფოთში
ფოტო შაპიროვის

შუშა კიტრი და ქორფა წიწმატი საგაზაფხულო „სიურპრიზიდან" ჩვეულებრივ გასტრონომიულ ატრიბუტად აქციოს.

დიდი ადგილი დაეთმობა აგრეთვე სუბტროპიკულ მებაღეობას და გააშენებენ იაპონურ ხურმას, კინკანებს, რომლისაგან შესაძლებელია დამზადებულ იქნეს მაღალხარისხოვანი მურაბა და ცუკატები, „კომანდორის მხალი", რომლისაგანაც აგრეთვე ცუკატები მზადდება და სხვ.

ათასეულ ჰექტარზე უნდა გაშენდეს ტუნგის ხე, რომლისაგანაც გამოხდიან ჩვენი მრეწველობისათვის მიუცილებელი საოცრითესო თვისების მქონე ზეთს; უნდა გაშენდეს ჩუფა, რომელიც შოკოლადის ზეთის დამზადებაში მიდის და გადაიშლება უზარმაზარი პლანტაციები მითიურ ქალთევზივით თავბრუდამხვევი ჟერანისა, რომლისაგან გამოხდილ ზეთის თითო კილოგრამი 800 მანეთამდე ფასობს ოქროთი. აქვე სხვა უთვალავი სუბტროპიკული კულტურები, რომელთა სახელი მრავალ მხარეთა ნიჭიერ პოეტების ცეცხლოვან სტრიქონებში, შეხერეზადას ზღაპრულ თაიგულივით არის ჩაბნეული.

***

ყველაფერი ეს ოდნავადაც არ არის „დიდი გეგმებით გატაცების" ამბავი. კიდევ ერთი ათიოდე წელი და ფაზისის ნაპირებზე, მალარიით გაწამებულ მცხოვრებთა მიერ შენავენებულ ჭაობების ნაცვლად, საოცნებო ფლორის უზარმაზარი ხეივნები ჩამწკრივდება და ახალ არგონავტების მიერ ახლად შობილი კოლხიდის დიდება უსახელო ავტორის ლექსად გადავა თაობიდან თაობაზე.



ქალადიდის მთავარი არხი მთავრდება
ფოტო შაპიროვის

# ახალი თბილისი მოდის

ნარკვევები: პოლიო აგრამია

## II. მტკვრის მარცხენა ნაპირი

გავდივართ მშენებლობის ტერიტორიაზე. ივით „ხიდმშენი"-ს ეზოშია მოთავსებუ-ლი დამხმარე საამშენებლო ხე-ტყის ასა-ხერხი ქარხანა, სადურგლო, სამჭედლო და სხვ. სამუშაოთა განყოფილებები და სა-ამქროები.

ირგვლივ ჰყ..ია: რკინა, თუჯი, მილები, ძელები, სხვადასხვა ხელსაწყოებისა და იარაღების ნაწილები, ბორბლების ხეობიდან ტივებად გადმოცურებული დასახერხი ფიჭ-ვის მორები, ფიცრები, კუნძები, სავსე და ცარიელი ცემენტის კასრები, ნახერხი, ქვი-ლოდები, რიყის ქვა, ქვიშა ლორღი და ათასი სხვა რამ. ეს მოსთვლის რამდენი რამ ესაჭიროება იმ მომავალ ბეტონის გი-განტ-ხიდს, რომლის ქარგილების ჩონჩხი მოჩანს აქედან მტკვარზე გადახიდული.

აქვეა მუშათა საერთო საცხოვრებელი, წითელი კუთხე, საერთო სასადილო, საე-რთო სამრეცხაო.

აქვე მუშაობენ დურგლები: ისინი აკეთე-ბენ ქარგილებს, ხარაჩოებს, კუნძებს, თა-ლებს, საყრდენს და ამ საყრდენის ლერო-ებს. მახლობლად დგას კანტორა. იქვე მო-რიგეობს პირველი უბნის სამუშაოთა ურ-როსი კომპეტენტური ინჟ. ფედოროვი.

ნაპირთან ... ხახადაადებილი ქვი... ტვირ-ვი მანქანა, მასში ჰყრიან ვიწრო ლიანდა-გზე რკინის პატარა გოგორებზე შეყენე-ბულ სიპლიპეტა როხოდებით მოზიდულ რიყის ქვას, რომელიც ორმოების ამოთხრის დროს ამოაქვთ სიღრმიდან ექსკავატო-რით, და, რომელიც აქვე ირეცხება მტკვრიდან რეზინის მილებით გადმოქაჩუ-ლი წყლით.

ამ რკინის პატარა როწოდებს მოჰყვებიან მუშები და, როცა ქვის მტვრევთან შე-ყენებენ, რონოდა ცალ მხარეზე გადაქცევი-ზა, წამოპირქვავდება—რიყის ქვები რობ-რობით გადადის მანქანის ლაგუჩეში, რო-მელიც გამუდმებით მოძრაობს იქვე მიდ-გმულ პატარა ძრავით.

ტრიალებს მანქანა, ტრიალებს ის დღე და ღამე გაუწყვეტლივ, შეუსვენებლივ.



პირველი უბნის მშენებლობის ხელმძღვა-ნელი ინჟ. ფედოროვი.

ისიც განუწყვეტლივ სამუშაო დღეზეა გა-დასული, როგორც ცოცხალი ადამიანები ამ მშენებლობაზე. ამ მანქანის ფოლადის ღარეჩებში მოხვედრილი რიყის ქვები იმ-სხვრევიან.

ეს პატარა მანქანა ისე გემრიელად ჰხრავს ამ რიყის ხავსიან და შელორწილ ქვას, თითქოს ის თავლაში დაბმული ყარაჩული ულაყი იყოს და ეს ქვა კიდევ აქ შარაში ჩაყრილი გემრიელი „მუხუდო".

ქვა იმტვრევა, ქვა იმსხვრევა და ის მე-ორე მხარეზე ღარით ჩამოდის ლორღად ქცეული.

ეს ლორღი სცვივა ისევ პატარა რკინის რონოდებში, მეორე წყება მუშებს მიაქვთ ის ქვემოთ, ქვედა იარუსზე დაყენებულ როხოდებით ხიდის მარცხენა ნაპირზე გამართულ პირველ ბურჯთან. აქ ურევენ ცემენტში სპეციალური მანქანით და მზად-დება ბეტონი.

ეს სითხე „ბადიებით" გადადის იმ ფორ-მებში, რომლებიც დაყენებულია მაღლა ბოძებს შორის გახიდულ ქარგილებზე. ჩაღ-კეპნიან შიგ რკინის უროებით ამ სითხეს, ერთ თვეს დააცდიან მას, მერე ქარგი-ლებს ჩამოხსნიან და დარჩება შემჭიდროე-ბული, ჩუქურთმებიანი თაღები, რომე-ლიც გეგმაში ენახე მე ამ რამდენიმე წუთის წინ.

მტკვრის ნაპირის გასწვრივ ჰყრია აუა-რებელი ქვა, ეს არის სინდარიდან ჩამოტა-ნილი ბაზალტი. ამ ლოდებით არის ამოყ-ვანილი ხიდის საყრდენი ხუთი გიგანტი ბურჯი, რომლის საძირკველი დაშენებულია მტკვრის მღვრიე ტალღების უხსოვრულში, ფსკერიდან სამი მეტრის სიღრმეში ალმოჩე-ნილ კლდეზე.

კალატოზები შეძვევიან ამ ლოდებს, სთლიან და აჩუქურთმებენ მას, რათა ამ ნაჭრებიდან ჩამოაქანდაკონ გიგანტი ხიდის სიტკეცოებით შეურყეველი მთლიანი ფუ-ძე, ბურჯები.

ამხ. სალუქვაძე გზადაგზა მიხსნის ყვე-ლაფერს, მიხატავს დიდ პერსპექტივას, ამ ხიდის მომავალ სიდიადეს, მის ცოცხალ პანორამას, რომელიც მოცემული იქნება მუშაობის დამთავრებისთანავე მომავალ წლის შემოდგომისათვის.

ეს მართლაც საინტერესო საქმეა.

შეუძლებელია სიამოვნებით არ მოუსმი-ნო ამ გრანდიოზულ ობიექტის შემომქ-მედს, მაგრამ ჩემ წინ სხვა სანახაო გადი-იშალა: უცხო, უცნაური და ახლა აღარ შემიძლია გულდასმით ვუსმინო ამხ. სა-ლუქვაძის ისეთდენ საინტერესო ახსნა-განმარტებას ირგვლივ წარმოებულ და მიმ-დინარე მუშაობის შესახებ.

— რა არის ეს?

თითქოს ზღვის პირად ვარ სადმე, თით-ქოს რომელიმე სამრეწველო ქალაქის ნავ-სადგურიდან გავცქერი ღია სივრცეს, თით-ქოს ქარიშხალის დროს მღელვარე ტალ-ღებს გამოქცევია და ამ მყუდრო ბოლაზში შემოხიზნულია ეს უზარმაზარი კრეისერი.

...მაგრამ არა, ეს არ არის ზღვა, არც ნავსადგურია აქ. ჩემს წინ ისევ „ზაჰესი"-ს სადუბარში გატარებული მოდუდუნე მტკვრის მღვრიე და მოღლილი ტალღებია გადენილი და ისინი ნელა მიიზლაზნიან ქა-როვალისაკენ.

ეს გიგანტიც არ არის კრეისერი.

ეს რკინის მანქანა წამომდგარა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მისი მწვერვალიდან მოპირდაპირე კლდოვან ნაპირამდე გადა-ჭიმულია ფოლადის ოთხი ბაგირი. ამ ბაგი-რებს მისდევენ პატარა გოგორები, რომ-ლებზედაც ფოლადის ჯაჭვებით ჰკიდია ლუზისიბური რკინის ხელი.

ამ გიგანტს თავისავე რკინის უზარმაზარი კიბე აქვს შედგმული მწვერვალამდე; ამით ადის ერთი მუშა იმ პატარა ხის ოთახამდე, რომელიც ამ ვეება ანძის შუა ადგილზეა მიშენებული, და რომელიც ძალიან მიაგავს კრეისერის ანძებს შორის გამართულ კაპი-ტნის კაიუტას, საიდანაც ის ჰოგრიტით უა-სკეპერის ნისლით დაბინდულ ზღვის შორე-ულ სივრცეს.

აქ ზღვა არ არის, აქ კრეისერი არ არის, არც ეს არის კაპიტანის კაიუტა; ამ ოთახ-შია მოთავსებული პატარა ძრავა, რომელ-საც საჭიროების დროს მოძრაობაში მოყავს ეს გიგანტი.

ახლა რომ მუშა ავიდა მაღლა, ის გა-დმოდგა ამ ოთახის პატარა აივნიდან, სივრ-ციდან ის ჭონდრის კაცად მოსჩანს. მას ხელში უჭირავს პატარა წითელი დროშა, ის ამით იძლევა ნიშანს, რომელიც აქ ყველამ ზეპირად იცის.

რა მოხელეა ეს მაიკანა აქ? რისთვის მო-სულა აქ ეს გიგანტი და რა დავალებას ას-რულებს ის ამ მშენებლობაზე?

როცა მშენებლობის რომელიმე უბანზე საჭიროა რაიმე სააღმშენებლო მასალის მიწოდება, ეს მანქანა „კაიუტიდან" გად-მომდგარ „კაპიტანის" ბრძანებით ძირს ჩამოუშვებს რკინის ხელებს, დასწვდება ორ ნახევარ ტონა ტვირთს, 40 მეტრის სიმაღლეზე საჰნის ბუშტივით აიტრენს მას, „კაიუტის" აივანზე გადმომდგარი მუ-შა მარჯვენა ხელის მაჩვენებელ თითს დააჭერს ღილზე, მერე ამოძრავდება ამ მანქანის რთული მექანიზმი, პატარა გო-გორები გაასრიალებენ ფოლადის ბაგირზე აწეულ ტვირთს და 170 მეტრის მანძილზე გაღმა-გამოღმა, თუ შუაგულ მტკვარზე მიაწვდიან მას მშენებელ მუშებს.

აი, რა „მოხელე ნაჩალნიკია" ეს გიგან-ტი აქ—მოდუდუნე მღვრიე ტალღებიანი მტკვრის პირად.



კლდის ამფეთქებელი, საუკეთესო მუშა ამხ. ხევასტი ცინცაძე

— რა არის ეს?—გავეესიტყვე ამხ. სალუ-ქვაძეს და პასუხის მოლოდინში გაკვირვე-ბით მივაჩერდი მას.

— ეს საბაგირო გზაა!

— უცხოეთის ტექნიკის ... ნაწილი სიტყვაა ალბათ?—გავეხმაურე ისევ.

— არა, რა შუაშია უცხოეთის ტექნიკა! ჩვენ რა, ნაკლები ბიჭები ვართ? ეს აქვეა

*) იხ. „დროშა" № 21—22.



საქართველოს ... ბიბლიოთეკა

ჩაქრობილი — ტფილისში. „26"-ის სახელობის ქარხანაში ინჟ. შანშიევის პროექტითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ეს ჩვენი სიამაყეა, ერთგული თანამებრძოლი სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე.

მართლაც, ასეა. ეს მანქანა შეუპოვარი მებრძოლია, ის ეხმარება მუშებს ჩვენი აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის დიად გეგმების ღირსეულად შესრულებაში.

შემდეგ საუბარში გამოირკვა, რომ ეს მანქანა „26"-ს სახელობის ქარხანაში დამთავრებისთანავე გადასროლილ იქნა „ზაჰეს"-ის მშენებლობაზე.

ეს გოლიათი დიდხანს იდგა ჯვარის მონასტრის ქვემოდ — ხეობაში, იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს. წლების განმავლობაში იდგა ეს ძველი მცხეთის ბებერ მიწაზე და ამ გადასული ეპოქის მრავალ თაობების მომსწრე ნაპირზე მომავალი სიმღეროთ აშენებდა ახალ მცხეთას და მის სიამაყეს „ზაჰეს"-ს.

ამ უბანზე, ჩვენი აღმშენებლობის ამ საპასუხისმგებლო ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ამ მანქანამ გადალახა მთები და ეწვია „სავარდო და სამთო" ქუთაისს, „რიონჰესის" მშენებლობაზე დადგა ის.

აქაც კარგა ხანი დაჰყო მან, აქ დარჩა ვიდრე სამუშაოები არ მოთავდა. ამჟამად „რიონჰესი" მზად არის, მისი რკინის, დახარისხებული თვალშეუდგამი ბოძები ჩადგენ იმერეთის ველ-მინდვრებში, ხეობებსა და რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, რომ ხვალ წარმოვიდგინოთ ელექტროფიცირებული ახალი იმერეთის ინდუსტრიული პეიზაჟები.

„რიონჰესი" დასრულდა. მისი მიწის ქვეშა თუ საჰაერო კაბელები შეუერთდა ზაჰეს-ისას. ამიტომ საბაგირო გზას იქ არა ესაქმებოდა რა და აქეთკენ გამოუწვევია.

ეს გიგანტი მანქანა ახლა ჩამდგარა აქ, და მუშებთან ერთად ისიც თავგამოდებით იბრძვის მშენებლობის მაღალ ტემპების განვითარებისათვის.

## 4. ჩვენი მშენებლობა სკოლაა

ძველი სკოლის ტექნიკური ინტელიგენცია კარჩაკეტილ მუშაობას იწრთობოდა.

მის „სამლოცველოში" ვერ შეიჭრებოდა „უბირი" ადამიანი.

ამ თაობის ყოველ უბრალო მომაკვდავს კი, რომელიც ქუდზე კაკარდას მიიწებებდა და ფორმაზე ბრჭყვიალა სადაფებს დაიკერებდა, ზეციდან მოვლენილად ეჭირა თავი, ასე „ბრბოსთან" არა ესაქმებოდა რა.

ამ „ბრბოს", ამ „უბირ" ადამიანთა წარმომადგენელს, უდიდესი ბრძოლითა და ნიჭითაც რომ ყოფილიყო დაჯილდოებული, მიუწვდომელ სურვილისა და მიდრეკილებისა მიჯნის წადგმა უძნელდებოდა. თვით წლების განმავლობაშიაც რომ ემუშავა სპეციალისტთა ამ თაობის წარმომადგენლების გვერდით—ძნელი იყო, შეუძლებელი იყო, მშენებლობაზე, ამ წარმოებაში შავ მუშად მოსულს რაიმე სპეციალობა ღირსებოდა.

ძველ დროში მუშაკის დახშული ჰქონდა წინსვლისა და წარმატების გზა.

ეს დაკანონებული იყო ძველ დროში.

ამ კანონს მტკიცედ იცავდენ მაღალ პროფესიათა წარმომადგენლები, მასვე ემორჩილებოდენ შავი მუშები.

ამ ორ კატეგორიის ადამიანთა შორის დიდი ზღვარი იყო, რომელშიც უნდა მათ შორის არც მეგობრულ-ამხანაგურ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. თუ პირველნი პირწავარდნილი ჩინოვნიკები იყვნენ—მეორენი „ჟამთა სოფლის" გამო ყურმოჭრილ მონებად იყვნენ გადაქცეულნი.

ეს შედეგი იყო სპეციალისტთა ძველი თაობის ქედმაღლობის, მიუკარებლობის.

ეს ახასიათებდა გადასულ ჟამთა ადამიანებს.

ყველაფერი ეს გამომდინარეობდა იმ საზოგადოებრივ წყობილებისა და ურთიერთობისაგან, რომელშიაც ტრიალებდენ ეს ადამიანები.

ეს ისტორიას ჩაბარდა, ჟამთა დენამ გადაყვა—დავიწყებას მიეცა.

რევოლუციამ საზღვარი დაუდვა ამას და ახალ ქვეყანაში, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში—სოციალისტურ უკლასო საზოგადოების ყალიბობის პერიოდში, როგორც თვით ადამიანები, ისე მათი ურთიერთობაც ახალია, ამხანაგურ-მეგობრული—მიუხედავად ეროვნებისა, [illegible] წლოვანებისა და სწავლა-განათლებისა.

ჩვენი დროის, ახალი ადამიანი თავისუფალია წარსულის ბევრ ტრადიციებისაგან, და თავისუფალია ყოველგვარი ქედმაღლური მიდრეკილებისაგან. ჩვენს დროში არც საამისო ნიადაგი და არც საზოგადოებრივი ურთიერთობა იძლევა იმის საშუალებას რომ ეს გამოიწვიოს ვინმემ.

ეს განსაკუთრებით იგრძნობა, როცა ახლოს მიდიხარ და გულდასმით დაათვალიერებ ფაბრიკა-ქარხანას, წარმოებას და აღმშენებლობას.

ამ ობიექტებზე გაერთიანებული მუშები ერთი მიზნის გარშემო დარაზმულ ადამიანებს მიუხედავად თანამდებობისა, კვალიფიკაციით სხვადასხვაობისა მეგობრულ-ამხანაგური დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან.

ეს რომ ასე არ იყოს, არ იქნებოდა უდიდესი შეგნება იმისა, რომ ჩვენ მსოფლიოში ვაკეთებთ უდიდეს საქმეს, რომლის მსგავსი ისტორიის მთელ მანძილზე ჯერ არ გაკეთებულა.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

ეპოქის ეს წამყვანი იდეა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ჩვენი დროის ადამიანს—მეცნიერიდან დაწყებული კოლმეურნე გლეხამდე.

ყოველმა მუშამ, სპეციალისტმა, ყოველმა ინტელიგენტმა და გლეხმა იცის, რომ ჩვენს დროში შრომა გადაიქცა გმირობის, სახელისა და სიამაყის საქმედ.

ჩვენი დროის ადამიანმა იცის, რომ სოციალიზმის შენება არ არის პიროვნული საქმე, ეს არის მთელი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის საქმე.

ეს უნერგავს სიყვარულს ყოველ ადამიანს თავისუფალ შრომისადმი. ესაა მთავარი მამოძრავებელი ძალა მილიონიანი მასებისა ერთი იდეის გარშემო.

სწორედ ამის შეგნებამ ჩაჰკლა ჩვენი დროის ადამიანში ის სიძულვილი „ბრბოსა" და „რჩეულთა" შორის, რომელიც ასე ხანგრძლივად ახასიათებდა წარსულს.

ეს მოისპო, ეს არ არის დღეს ახალ, საბჭოთა ადამიანში.

მუშათა ფაკულტეტებსა და უნივერსიტ- [illegible] ერთად ამ საქმეში [illegible]



[illegible] რიონის [illegible] ფურთაზე—კომკავშირელები [illegible]

ფოტო დავიდოვის.

შაუძლევის ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში გაშლილ სოციალისტურ აღმშენებლობას, დღეს აქ შრომის დარგაკში ტარდება და მუშავდება სულ სხვა ადამიანი—ახალი მორალით, ახალი ჩვევებით.

—:—

ჩვენს ქვეყანაში პირველი დიდი აღმშენებლობა ჩატარდა მცხეთაში. ზაჰესმა მოგვცა პირველი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მუშათა წრიდან პრაქტიკულ სამუშაოზე მივიღოთ ახალი ტექნიკური კადრი.

ზაჰესმა, მინდვრებიდან მოსულ ბევრ შავ მუშას მისცა სპეციალობა. ზაჰესს მოჰყვა რიონჰესი, აბჰესი, აწჰესი და სხვა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა.

ყველა მშენებლობა ანვითარებს ამ ტრადიციას და ჩვეულებური მენახირეები, სოფლის გუშინდელი უბრალო ბიჭები სპეციალისტები ხდებიან.

ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა ტექნიკურ ინტელიგენციას, რომელიც არ აღზრდილა წარსულის ტრადიციებზე, ამაში რათქმა უნდა დიდი ღვაწლი მიუძღვით აგრეთვე ძველი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, რომლებიც გულწრფელად და ენერგიულად იბრძვიან აღმშენებლობის ფრონტზე.

ახლა მუშა და სპეციალისტი ინტელიგენტი ერთად დგანან და ურტყამენ წერაქვს; ისინი ერთად იბრძვიან ერთი მიზნისათვის



დამკვრელი მუშა ამხ. ვ. შიპილოვი

და მოწადინე, ტილოდინარის უზიარებს თავის ცოდნას. ასე ხდება ეს „ხიდმშენ"-ზედაც.

—:—

როგორც აღვნიშნეთ ეს ხიდი პირველია კავშირში.

მთლიანი ბეტონის ხიდის მშენებლობის ტრადიცია არ გვაქვს ჩვენ. ამ მხრივ მსოფლიოში ორი ქვეყანაა ცნობილი: საფრანგეთი და ამერიკა.

უპირატესობა ბეტონის ხიდების მშენებლობაში საფრანგეთს ეკუთვნის. ფრანგები აშენებენ მეტად ლამაზსა და კოხტა ხიდებს. ბეტონის ხიდების მშენებლობაში მთელი რიგი გაუმჯობესებანი შემოიტანა გასულ საუკუნეში ფრანგმა ინჟენერმა სეჟურნემ, ამ უკანასკნელის მეთოდით შენდება ამჟამად მსოფლიოში ყველა ბეტონის ხიდი, მისი თაღები, ბურჯები და მოაჯირები.

მიუხედავად ჩვენი სპეციალისტების მთელი რიგი თვალსაჩინო მიღწევებისა, ასეთ ხიდების მშენებლობაში, ინჟ. სეჟურნეს ზოგიერთი მეთოდები გამორიცხული არაა სადგურის ხიდის მშენებლობის პრაქტიკიდან.

ასეთ მშენებლობაზე ყოველი მუშისა და პრაქტიკანტისათვის სანატრელია მუშაობა, მით უფრო, რომ მას სრული გარანტია ეძლევა მიიღოს აქ რაიმე სპეციალობა.

ხიდმშენის ახალგაზრდა ინჟენერ-ტექნიკოსები პრაქტიკულად ახორციელებენ ამას.

# ა რ ს ე ნ ა ყ ა ჩ ა ღ ი

## გ. შატბერაშვილი

ეხლა მთები უჩადროა, ხარითვალა მოჩან...
ჯერ ადრეა, სისხამ-დილით წამოშლიან
ბონჩარს—
ნაცრისფერი სივრცეები
მოისხამენ ლაჟვარდს.
ნისლის ჩოხებს მიიტანენ ცისფერ
გორიჟრალთან...
...მეხრე ბიჭი ზის ფარეხში
და აჟღერებს ჩანგურს:
—..შაულეგ, შენი შავი ჩოხა, შაულეგო,
შავად შეგიხამებია, შაულეგო.
შაულეგ შენი ყაწმები, შაულეგო...
შენი შავი ჩაბალახი, შაულეგო...
არსენ, შენი [illegible]თრი ჩოხით მიწოლილხარ
მხარზე,
მწყემსი გეტყვის:
— ..ერთიც მესვი ამ ჯიხვის რქით არსენ...
ბნელ ფარეხში, მეხრეებში გაგიშლია
სუფრა,
შეგხარიან, თრიალეთზე გადმოვარდნილ
სტუმარს...
— ..:მესვი: მეხრან-ბატონების დამხობის
და მტრობის,
— ესვი: ოხერ თავადიშვილს გამოექეც
მთაში
— ასწი: გლეხის გამარჯვების,
იცვლებიან დრონი.
— შესვი არსენ.
— წყეულა უთხარ ზაალ ბარათაშვილს..
წამოდგება ბიჭო არსენ,
თეთრი ახალოხით,
ქვეშ ნაბადი გაგიშლია —
ხელს გიშვერებს ჯიხვი:
სხედან ჩუმად... ——
სდუმს სარქალი და მდუმარებს ქოხი..:

გარეთ ლურჯა დაჭიხვინებს,
მთებს ეხება ჭირხლი..
— ..ეხ, შენ ბიჭო—თრიალელო,
ნაბადს მოიხურავ,
თავისუფლად გააჭენებ იალაღზე ქურანს,
ჩამომჯდარხარ,
და ატირებ ამ სევდიან ჩანგურს,
რომ გულები კაეშანით უფრო ჩაიჟანგონ,
გადააგდე,
წყეულა უთხარ მაგ დარდიან ჩანგურს,
აიშალე,
წინამძღოლათ გაიჭრების არსენ
აიშალეთ არწივებო,
ვეღარ დაიჩაგრონ,—
სხვა ლექსები დაიზარდონ ვეფხის
ნაბუდარზე.
ვინ გაჰყვება არსენა ბიჭს —
ბარში ნაყაჩაღებს..
ხან გაქრება, ხან რან,
ოძელაშვილს გამომყვებით — ვიქაცებით
ჩახხარით.
ამოიღებთ ქარქაშიდან ჩაჟანგებულ
ხანჯალს.
სვამ არსენავ—
და ჯიხვის რქას მიაწოდებ სარქალს,
სდუმს ფარეხი.. მხოლოდ ისმის:
„ალავერდი არსენ"..:
იოიერაჟა...
გარეთ ცაზე ხარისთვალა ჩაქრა,
გარეთ ლურჯა დაჭიხვინებს ცერიან
იალაღზე...
— ..ეხლა დროა ავიშალნეთ...
წამოდგება არსენ
სხვა ვერავინ ვერ შებედავს —
ყალყზე დგება ლურჯა...

— ..გზას მშვიდობით იაროდე...
შენც ღიმილით დასცქერ,
თან მოგდევენ და ფეხდაფეხ მოგძახიან
მხედარს:
— ..„არსენ შენად გეგულებდე, ამოვიყი-
ლებთ ხანჯალს,
მიჭრი არსენ...
შორს ნისლები ფლატეებზე სხედან...
— ..არსენ, ხშირად მოხვიდოდე..
— მოგშრალებს ნამჯა...
— ..მოხვიდოდე თრიალეთზე ლეგა
ყაბალახით,
მეხრე ბიჭი შენზე ვფიქრობ—
როცა შემსცქერ ლაჟვარდს,
მეც შენთან ვარ —
შენი ჩოხით, შენი ყაბალახით,
შენ სუფრაზე ღვინო მისვამს,
შენ ლურჯაზე ვმჯდარვარ...
ეს ხევები შრიალებენ:
— „არსენ, არსენ, არსენ".
ალი შეატენა — [illegible]
გზაზე მგზავრებს გასცქერ...
გახვალ სერზე
და ყანებთ მოგძახიან „არსენ"
თავთუხები, სიმინდები —
შრიალებენ „არსენ",
შენი ლეგა ყაბალახის ზარნიშიან
ჭირხლით
ლურჯა მირბის,
ჭალებზე გაიტაცებს ჭიხვინს,
მიჭიხვინებს „არსენ, არსენ".
მირბის დგება ტორებზე. —
მირბის, მიათამაშებს ლაჟვარდიან
ფორეჯებს.

მაისი, 33 წ.

# მიმინო თავის საბუდარში

**ლევ მეტრეველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ თქვენი ქუდის ჭირიმე! ესენი ხარები კი არა ჯეირნები არიან უღელში შებმული! აბა შეხედე ბიჭო გიგო! სავსე ურემი ისე მიაქვთ თითქოს იალაღზე მიდიოდეთ!

მაგრამ გიგო ბიჭს არ უნდა ანდროს მტკიცება, ისიც კარგადა სცნობს ჯიშიან საქონელს.

— ვენაცვალე ამათ მომვლელის მარჯვენას! კარგი ატლასიც ვერ იბზინავს ჰზის გულზე ისე ლამაზადა, როგორც ბზინავს ამათი ზურგი. ნამდვილი გლეხ-კაცობა ძმაო ამათმა პატრონმა დაიტრაბახოს!

— აქა ვარ, აქა ამხანაგებო! რას ეარშიყებით ჩემ ხარებსა! თვალში ხომ არ მოგივიდათ!

და ამ სიტყვებთან ერთად ურმის უკანიდან გამოჩნდა შუახნის კარგად შენახული ვაჟკაცი. მის დანახვაზე ანდრომ ჯორჯიაშვილის ყუმბარასავით მიაძახა:

— შენ უეჭველად მიმინო იქნები! მართალია თუ არა!

გლეხი კაცის პასუხიც სხარტი იყო მეკითხვასავით:

— დიახ, მიმინო გახლავართ სწორედ!

— მაშ გამარჯობა შე კაი კაცო!

— გაგიმარჯოს შენც უკეთესო!

მიმინომ და ანდრომ კარგი სანძლეოსავით ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

მიმინო თითქოს გაოცებულია:

— მე საიდან გეცნაურებით ამხანაგო?

— მე კოლექტივის ახალი თავმჯდომარე ვარ—ანდრო თარიშვილი, ესეც ქალაქელი ამხანაგია—გიგო თავზარაშვილი, რამდენიმე დღით ქალაქიდანაა მოვლენილი—მუშაობის შესამოწმებლად. კაცო ერთი კვირაა აქა ვარ და ლამის ყორნის ციხესავით ამიღეს მიმინოზე ლაპარაკით, უფრო კი შენი ხარების ქებადიდებითა და მართლაც საბაქებო რამე გყოლია ძმაო! ყოჩაღ შენ კაცობასა!

მიმინომ კმაყოფილებით შემოუარა თავის ხარებს, თავზედ ხელი გადუსვა მზრუნველობით, თითქოს მეათასეჯერ კიდევ დარწმუნდა მათ უკეთესობაში და თან—

— ვენაცვალე ამათ ჯილაგსა! ესენი ჩემით არიან და მე კიდევ ამათითა ვარ!

— ერთი თხუთმეტი სოფელი მაინც შემოვიარე და მე ამათ მაღალი ხარები არ შემხვედრია ძმაო.

და გიგოს სიტყვებს ანდროც უმატებს კარგი სანელებლივით.

— საიდან შეგხვდებოდა შე კაი კაცო! ქვეყანა ერთპირად გაიძახის: მთელ მხარეში ამისთანა ხარებს კაცი არ ინახავსო! ამას აგერაა ვხედავთ ჩვენი კეთილი თვალებით!

მიმინო კი ეალერსება თავის ჰოტას, თავის ვაშლოს და თან უპასუხებს:

— საქონელი შვილოსა მოვლით არის, მოვლითა! აბა როგორ დაიტრაბახო, მაგრამა მაინც უნდა გითხრათ გულზე ხელდადებითა: ბევრჯერ ცუდაბა საქონელი კარგად გადამიქცევია მოვლითა. ბევრჯერ კი კარგი საქონელი გლახად გადაქცეულა სხვის ხელში—მოუვლელობითა.

— მერე ასეთი ყოჩაღი გლეხკაცი კოლექტივში არა გყავთ აქამდისა?—ეკითხება გიგო ანდროს.

— არა გვყავს მაშა! მაგრამ გვეყოლება კი, ჩქარა გვეყოლება!

ანდრომ ულვაშებში ჩაიცინა.

— ძაან იმედიანათ კი ლაპარაკობ ამხანაგო, მაგრამა ვაი თუ მოსტყუვდე ვარაუდში!

— რათ უნდა მოვსტყუვდე მიმინო, რათა? განა ეგეთი შეურიგებელი მტერი ხარ კოლექტივისა?

— არა ძმაო, ღმერთმა დამიფაროს! მე ერთი ყარიბი კაცი ვარ: ჩემი ან მტრობა ვის რას დააკლებს და ან მოყვრობა ვის რას შემატებს, მაგრამა...

— მაგრამა?



— ...ამ დროს გაიღო ჭიშკარი შემობორტა ორმა მშვენიერმა ხარმა. პატრონიკლან მოსდევდა...

მიმინო თავს იფხანს: სთქვას, თუ არა სთქვას? გაუგებენ თუ ვერ გაუგებენ?

— ...აი ამხანაგებო! მოდი გამოტეხით ვსთქვათ!

— სთქვი მიმინო, რაც გიძევს გულში! ნუ გეხათრება! ანდრო მოგიკვდეს, თუ შენი გულისნადები ვერ გაიგოს ღირსეულადა!

— არა! საწინააღმდეგოს კი არას გეტყვი.. მაგრამ მაინც გაგება უნდა კაცისა. (მიმინო ახლა ულვაშს ისწორებს ან ეგებ უფრო სიტყვას?) აი, შვილოსა! თქვენ ხომ ორმოცი-უღელი ხარკამეჩი გყავთ კოლექტივში, არა?

— გვყავს, მართალია!

— ჰო და იმ ორმოცი უღლიდანა მარტო ორი უღელი გამომიყვანეთ, თუნდ ერთი უღელი გამომიყვანეთ, ისეთი, რომ ჩემ ხარებთან უღელი გავაწყონო. ტოლას კიდევ ჩემ ხარებს დავუდებ, ამათ ვენაცვალე ქუდში! მხოლოდ ტოლდადებულს მაინც გაუწიოს! თქვენ ასეთი ხარები არა გყავთ ძმაო და რა ვქნა!

— მართალია, არა გვყავს, მერე?

— მერე ისა რომა, რანაირად შემოვრეკო ეს ჩემი ბედაურები თქვენ ჭიაყელებში? ყველა კაცს თითო რამით უნდა მოსწონდეს თავი ცხოვრებაში, მე ჩემო კეთილებო, რაც თავი შემისწავლია, მხოლოდ კაი საქონლის შენახვით მომწონს თავი. ხალხში ყველაზე მეტად ამითი ვიხსენები, ეს არის ჩემი თავმომწონეობა. კოლექტივში კი რომ შემოვიდე, მეც წავხდები და ჩემი საქონელიცა. თქვე კაი კაცებო, განა თვითონ არ იცით რომა ჩემი ხარები ქალაქნებურად გახდებიან თქვენი ჯოგის ტოლი და არა თუ თქვენი ჯოგი გახდება ამათი ტოლი. მე მაინც ცოცხალი ვარ, კაი ხარის ყოლას ვერ მოვიშლი—სადაც უნდა ვიყო.

ანდრო ხარების ზურგზე უსვამს ხელს. ესიამოვნება ხელში სუფთა ბეწვის ნაპერწკლისებრივი ლაწა-ლუწი და თან—

— ოღონდ მოდი კოლექტივში და მაშინ შედარებას ისევ შენ ჩაგაბარებთ—ქირობას გაძლევ.

— თქვე დალოცვილებო განა ჩემზე კარგათ არ მოგეხსენებათ? საერთო საქმე თუ ჩამორჩენილია, იქ ერთი კაცი სხვას ვერ გაუსწრებს წინა, და არც შესაფერისი რომ გაუსწროს—ჩემის კოთხულობითა, თქვენ თვითონ დაიდეთ გულზე ხელი დამითხარით: შეიძლება თუ არა კოლექტივში ხარის ასე შენახვა?

— შეიძლება მიმინო, შეიძლება!

— თუ შეიძლება თქვე კაი კაცებო, ნარატომ რა ინახავთ ეგრე? თქვენი ხარი და კამეჩი ისე არიან დამჭლევებული ძმაო, რომელიც უნდა დაკლათ და მორწმუნე კაცმა სჭამოს მარხვაში—ცოდვეთ არ ჩაეთვლება. ეგრე უნდა საქონლის მოვლა-პატრონობა!

ანდრო ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა. (მიმინოს სიტყვები ეწინება თუ?) შემდეგ გუნებაში თითქოს რაღაც გადასწყვიტაო და ეუბნება:

— მიმინო! როგორც შენ გიბია თავმომწონედ ეგ შენი ხარები, მეც ისე თავმომწონედ უნდა შევაბა ჩვენ კოლექტივში!

— ვითომ?

— აი, ნახავ თუ არა!

— ვნახოთ!

—:—

...ჭირნახულით დატვირთული ურმები ვაჭირვების ცრაჭუნით მიიმართებიან კეზიან მდევის აღმართზე. წინა ურემზე აფრიალებული დროშა ქვეყანას ამცნობს:

— ეს არის სახელმწიფო დამზადების ქარავანი!

მიდიან ურმები. ჯერ აღმართის შუა წელიც ვერ გაუტეხიათ, მეხრეები უმატებენ ხმაურსა და სახრეების ტყლაშა-ტყლუშს.

ხარები და კამეჩები ხვნეშიან, წელში იკუზებიან. ხანდახან მუხლისჩოქზეც დაეცემიან, წამოდგებიან და ისევ თავგანწირულად ეწევიან უზომო ჭაპანს.

აგერ მთელი ქარავანი შეჩერდა შუა აღმართზე. რა მოხდა? ასეთ ფალაგო ალტას ხომ დასვენება არ შეიძლება?

ეს! წინა ურემი ჩავარდა ბეგში და ვეღარ იტანეს მისმა მზიდავმა კამეჩებმა. მეხრემ რამდენჯერმე დაუჩოჩოველა, კამეჩებმაც დაიმუხლითავეს დედამიწაზე, მაგრამ ვერ იქნა, ურემს ადგილი ვერ აცვლევინეს. მეხრე იგინება გაბრაზებული. კამეჩებს სისხლი ადით პირიდან, ურემი კი ისევ უძრავადაა სდგას—დედამიწაზე მილურსმულივით.

აგერ ანდროც დაწინაურდა. მივიდა მეთაურ ურემთან და სცდილობს მოაგვაროს რამე. მაგრამ ყველა მეხრეები ერთპირად იძახიან:

— თუ საყვედური არ დაგვეცხით, აქ ერთი უღელი ხარკამეჩი ვერაფერს გახდება!

— აბა თუ ვერაფერს გახდება და—მე გაჩვენებთ მაშა!—მოისმა თითქოს საიდღანღაც მოულოდნელად გამოფრენილ მიმინოს ხმა.

ანდროს მიმინოს დანახვაზე სახე გაუბრწყინდა.

— არიქა მიმინო! აბა ერთი გვიჩვენე—როგორია გაჭირვების ტალკვესი ხარი!

მიმინო მაშინათვე ატრიალდა ხევით სერზე და ორი წუთის შემდეგ იქვე გაჩნდა გაჭირვების ადგილას თავისი სამაყო ბებიდოლრებით.

— გამოუშვით თქვენი „ნიკორა“ კამეჩები და ახლა მე შევაბამ ჩემი „ნიშა“ ხარები.

წინა მუხრამ გამოუშვა ეზოში დამარცხებული კამეჩები და თან მიმინოს ეუბნება სიფრთხილით:

— ძალიანაც ნუ თამამობ ჩემო მიმინო! არ შეიცხო! ძნელი საპანეა და ე ოხერი ურემიც ძალიან ულაგო ალაგას ჩაიხინცა.

არა! მიმინო ყურადღებასაც არ ამაყობს. მაგრამ მაინც იძახის დაჯერებით:

— ერთი ურმის საპალნე რომ არ აიტანონ გაჭირვებაში, აქეთ დაეკრა ორთავეს ყელსა!

ურმიდან გამოშვებული კამეჩები რაღაცა დაჩაგრულად გადგნენ განზე. მათ სანაცვლოდ მიმინომ შეაბა თავის ხარები, შემდეგ გულმოდგინეთ შემოუარა ურემს გარშემო, გაუსინჯა თვლები, გოჯრები და მოუდგა ურმის თავთან.

— აბა ბიჭებო თან ცოტა აუქარეთ ღერძის თავებიდან! აბა გავაწყვიტოთ ერთად!

აქ მიმინომ ელვასავით შემოუტია თავის ხარებს. სახრეს კი არ ურტყამს. მხოლოდ ოდნავ აკარებს ბეჭზე ხან ერთს და ხან მეორეს:

— აბა ქოტა, აბა ვაშლა! ვენაცვალე თქვენ ქედსა! მოდით მარჯვედ! თან ცოტა აუქარეთ ბიჭებო!

ქოტამ და ვაშლამაც არ დააყოვნეს. ქედწაყრილებმა იმედიანად შეუტიეს გაჭირვებით ურთო დამძიმებულ საპალნეს, კიდევაც დაძრეს ურემი ადგილიდან. მაგრამ ამდროს გაისმა ლაწანი და ხარები წინ წაეყარნენ მუხლიჩოქზე.

ურმისთავის ტაბიკი გატყდა.

მიმინო აენთო,

— რა ღმერთი გაგიწყრათ! ტაბიკი ვეღარ გაუკეთეთ რიგიანი! ასე ხომ გაილახა საქონელი! ეხლა როგორღა გავაწყვეტინო თავგამეტებით!

მაგრამ ანდრო აშვიდებს:

— ნუ გაწყრები მიმინო! რახან ყოჩაღობაზე დაგიდვია თავი, ბოლოც მიაყოლე!

— კარგი! ჩემ ხარებს ისეც ჩემი ტაბიკი გააწყვეტინებს!

მიმინომ ისევ მარჯვეთ აირბინა ზევით გამოაძრო თავის ულლიდან კელაპტარივით სწორე ობოლი შვინდის ტაბიკი და ხელად ჩამოარბინა ქვევით.

ისევ გააწყო ურემი და შეუტია ხელმეორედ.

— აბა ბიჭებო! აბა ქოტა! აბა ვაშლა! ცოტა კიდე! ცოტა კიდე! აბა მარჯვედ!

და ურემიც გაჭირვებით ამოლოლდა ზევით.

აქ უკვე მიმინო ყოჩაღად მოახტა ურმისთავს და შემოსძახა დარდიმანდულად:

კამეჩი მყავდა ნიკორა,
ქაქობდი, არა იყორა...

ხარებმაც იგრძნეს რაღაცა შვება და ლაღათ მიაგორებენ მრიცინა ურემს,

უკან ჩამორჩენილმა ურმებმა გვერდი აუხვიეს ფათერაკიან ადგილს და გაჰყვენ მძიმე-მძიმედ კარგა დაწინაურებულ მიმინოს.

მიმინო უკვე ავიდა აღმართზე. შეაჩერა ურემი და გამოუშვა თავის ხარები.

— აბა ძმაო! ეხლა გზა დამილოცია!

ანდრომ მადლობა გადაუხადა. უცქერის მიმინოს—თავმომწონეთ რომ მიერეკება თავის ხარებს და ფიქრობს:

— აი, სწორედ ასეთი მშრომელები სჭირდება კოლექტივს!

და თავისთავთან თითქოს სანძლეთ დასძენს:

— მიმინო უეჭველად შეიყვანოს როგორმე კოლექტიურ ოჯახში.

თითქმის დაიბერტყა შემოდგომა.

სახლში შემოსატანი უკვე შემოიტანა გლეხკაცმა. მინდორში გასატანი კი უკვე გაიტანა.

ეხლა ზამთრის თადარიგს იჭერს ყველა. ზამთრისთვის კი შეშაზე უფრო საჭირო რაღა იქნება!

მიმინომ უკვე რამდენიმე ხელი მოთარა ქვერეთხევი. ეხლაც იქ არის. მან ერთ ქედზე მიაგნო თეთრი რცხილის მორაგს და ემტერება მის ჩამოზიდვას. თანაც იქვევ ეპოვა კარგად შენახული საბალახე და მის ხარებიც გულისბუხარს ყოილობენ ასე ნაგვიანევად პირშენახულ ბალახით.

განთიადზე ადრე მივიდა მიმინო აჩემებულ ადგილას. ურემი დასტოვა დაბლა. თვითონ კი თავისი ხარებით შეუდგა მაღალ ქედს. ხარები გაუშვა საბალახოზე და თან თითქოს ემუდარება:

— აბა ქოტა, აბა ვაშლა! ვენაცვალე თქვენს მადასა! ისე ლაზათიანად მოიფერდეთ, რომ საპალნე სულ გეცოტავებოდეთ —რაც უნდა ბევრი დაუდო!

თვითონ მიმინო კი წავიდა მეორე მხარეს შეშის დასამზადებლად. მილეული მთვარე ბრინჯაოს ფერად ძლივას ანათებს სიცოცხლით უძლებ დედამიწას. ტყისა და მთების გულში ჩამოვარდნილ მყუდროებას კი ხამუშ-ხამუშ არღვევს მიმინოს ცულის ჩახაჩუხი.

მიდის დრო. რიჟრაჟმა ერთა გაჰკრა ცისკამარაზე. მიმინომ უკვე დააგროვა ცხრილის თითოდე ძელი. მეტიც აღარ უნდა. ეხლა მხოლოდ საურმემდე უნდა ჩაითრიოს ნალოებათ.

მიმინო უკვე დაემზადა ხარების მოსაყვანად.

მაგრამ ეს რა ხმაურმა დაჰკოდა ტყის მყუდროება?

ეს ხარის ბღავილი იყო!

მიმინოს რაღაცა ელდამ გაჰკრა გულში. ის ცულმომარჯვებული გაეშურა ხარებისაკენ. მაგრამ აგერ დამფრთხალი ვაშლახარი თვითონ შემოეფეთა წინ. პატრონის დანახვაზე ხარი შეჩერდა, მხოლოდ შეშფოთებული თვალები გაოცებულად უბრიალებდნენ.

მიმინო მიხვდა: ეს უეჭველად ნადირისაგან არის დამფრთხალი. მაგრამ ქოტა სადღა არის? ვაი თუ ის იყო, რომ დაიბღავლა! უეჭველად ის იყო!

მიმინო გარბის. მიწას აღარა გრძნობს ფეხებქვეშ. ესმის მხოლოდ ქოტას ჩამკვდარი ბღავილი და თავისივე გულისცემა.

მივიდა ადგილას. ხარი არსად სჩანს. იქ ცოტა მოშორებით კი ტყიდან ანათებს ორი ბოროტის ნაპერი.

მიმინო მიხვდა—ეს მგლის თვალებია. და კიდევ მიხვდა თავის ქოტას ბედსაც.

ის ცულმოღერებული გაექანა მგლისაკენ, მაგრამ ამ დროს კლდის ქვევიდან მოესმა გაჭირვებული საქონლის კვნესა და ზმუკუნი. ცხადია ეს ქოტა იყო.

მიმინომ სასწრაფოდ დააქშეითა ვაშლა ხარი და მიეშურება გაჭირვებულ იმის ტოლისაკენ.

აჰა მივიდნენ კიდეც! მაგრამ ვაი ამ მისვლას!

ყელში ნადირისაგან დაგლეჯილი და კლდიდან გადმოჩეხილი ხარი უკვე სულს ებრძვის უკანასკნელად.

მიმინომ ერთი შეჰღრიალა—„ვაი ჩემო უბედურებასო!" და მიეგდო ხარს ყელზე. ქოტა კი სასიკვდილოდ ფორთხავს ტანში. უკანასკნელად ზმუკუნებს და თვალებიდან ლაპლაპით გადმოდის ცრემლი.

— ჩემო ქოტა! ჩემო მარჯვენა ხელო! ვაიმე დალუპულო ოჯახო!

ეს გოდება ხანის ხანად გაისმის მთებში და სასოწარკვეთილი კაცი ქვითინით უკოცნის ცრემლიან თვალებს მომაკვდავ სულდგმულს.

ხარს უკანასკნელად გააზმორა. ჩქარა ფეხები გასჭიმა ოთხი წაქცეული ბოძივით და თავიც გადააგდო მიწაზე სამუდამო მოძრაობით.

— ვაიმე ჩემო ხარო! ჩემო ქოტა! ვაი დალუპულო ჩემო თავო! და მიმინო ნამგალმოსმულივით ემხობა პირქვე ხარის ზექზე.

ინათლა.

უნძრეველად წევს კვდარი ხარი.

არც კაცი ინძრევა მის ბეჭზე მწოლიარე.

უცებ გაისმა საზარელი ბღავილი და ბღოვის მეხად გაიჭრა მთებში.

მიმინო წამოხტა ზეზე.

ეს ვაშლა ბღავის: მის უპოვია თავისი ტოლის დაღვრილი სისხლი კლდის ნაფლეთებზე და მას დაჰბღავის. წინა ტორებით ბდღვნის გასისხლიანებულ კლდეებს, საზარლად ჩაჰბღავის ქვესკნელს. ვაჟკაცის მკლავებად აყრილი რქებით ემხობა კლდეებზე, თითქოს უნდა დაექიდოს, გადააბრუნოს მიწის ნაზუგარიო.

მიმინოს გული აუდუღდა. თავის ცეცხლთან ერთად იგრძნო სევდა ტოლდაკარგული ხარისაც. რამდენიმე ხანს იდგა გარინდებული, შემდეგ რაღაცა მოწიწებით წაიჩოქა მკვდარ ხართან, აკოცა ქედზე, აკოცა რქებზე და თან იოგვლივე შემორტყმულ ტყის დასაკოდათ ამოიგმინა:

— მშვიდობით ჩემო ნაამაგარო ხარო! მშვიდობით ჩემო ქოტა!

ვაშლა ხარი კი ისევ ბღუის. ასევა ბდღვნის სისხლიან კლდეებს. (მთებიც ბღუიან, მთებიც ბდღვნიან თავიანთ გულის გულს).

ნუ თუ ასე ძნელია ტოლის დაკარგვა თვით პირუტყვისთვის!

—:—

მიმინო რომ ტყეში გაემგზავრა, სწორედ იმავე საღამოს კოლექტივის საზოგადო კრება გაიმართა.

ახალი თავმჯდომარე აზრისა და სიტყვის კარგი მქადაგელი გამოდგა.

კოლექტივიზაციის მნიშვნელობა მთელ სოციალისტურ მშენებლობაში, მისი ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობაში, მისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე —ყველა ეს საკითხები მრავალჯერ მოუსმენიათ სხვისი პირითაც, მაგრამ ახლა ანდრომ ისეთი თავისებური მადლიანი ენით განუმარტა ყველაფერი, რომ სულ ახალ მიზნადვე საქმედ დაუსახა მრავალჯერ სმენილი ძველი ამბავი.

გარეშე მყოფი გლეხებიც საკმაოდ იყვნენ კრებაზე.

ანდრომ თავისი მახვილი ენით იმათაც მისწვდა.

— რატომ არ მოდიხართ ჩვენთან ამხანაგებო? რაღაზე ჰკარგავთ დროს? კოლექტივიზაციის დაღუპვას თუ ელით, იგი არ დაიღუპება! თქვენი თავის დაღუპვას თუ ელით და ეგ ხომ უაზრობაა სრული.

გლეხები ფიქრობენ. ხანდახან ერთმანეთს ჩუმად უზიარებენ გულისნადებს.

— ხმამაღლა სთქვით რამე კაცო! გაგვაგონეთ ჭკვიანს თქვენი სიტყვა და ფიქრი! როგორი დაშინებულად ჩურჩულობთ! ნაპარევი ხომ არა გაქვთ ან აზრი და ან სიტყვა! აი თუნდა შენ, ნიკო! ძალიან ბედნიერი ხარ, რომ ქიგლისავით მოსჭიდებიხარ კერძო მეურნეობას და ვეღარ ელევი?

ნიკო შეირხა. ჭაღარა წვერ-ულვაშზე გადისვა კოჟრიანი ხელი. პასუხს არ ეჩქარება, ბოლოს მაინც—

— რაღა მე ამომიღე ნიშანში შე კაი კაცო! ჯერ ჩემზე გამოსადეგი ვინც არის, ისინი მოიყვანე და ბოლოს ალბად მეც მოვყვები!

— სთქვი ბარემ—ვინ მიგაჩნია ეგეთ გამოსადეგ კაცებათ?

— ...აი თუნდა მიმინო! იმის მიბაძულობითა რამდენი კაცია დღეს კოლექტივის გარეთ დარჩენილი!

აქ ბევრმა სხვებმაც დაუკრეს კვერი,

— მართალია! მიმინო რო მოვიდეს კოლექტივში, იმას ბევრი სხვაც მოჰყვება.

— მიმინო რა მისაბაძი მაგალითია, ამხანაგებო!—ედავება ანდრო.

ისევ ნიკო უპასუხებს. ყველას მაგიერ.

— თავთ კაცი სოფელში ყოველთვის ყოფილა მისაბაძი, ამხანაგო! მიმინოც თავკაცად ითვლება ჩვენში.

— აბეც უცნაური აზრებაა!

— რას იზამ! გლეხკაცის საქმე ასეა! ერთმანეთის მიბაძულობაშია...

— კარგი! მიმინო რომ შემოვიდეს კოლექტივში, მერე?

— ...რავი! მერე ალბათ ჩვენც მეტი გზა აღარ გვექნება! და აქ ანდრომ ხელახლად დასდო თავისთავთან ფიცი—უეჭველად მიიყვანოს როგორმე მიმინო ერთიან ოჯახში.

როცა გარეშე გლეხები წავიდნენ, ანდრომ განაგრძო მხოლოდ კოლექტიველების კრება.

მან სავანგებოდ განუმარტა მუშა-საქონლის მნიშვნელობა მეურნეობაში; თავისებური ჯილდოსნობით დაასურათა მათი კარგი მოვლა-პატრონობა.

სანიმუშო მაგალითად თვალწინ დაუყენა მიმინო თავისი რჩეული ბედაურებით, და ბოლოს სოცშეჯიბრი გამოაცხადა: ვინც საუკეთესოდ მოუვლის მასზე ჩაბარებულ კოლექტივის ხარებს, ის პირველ რიგში ჰაილებს კანონით გათვალისწინებულ ყოველივე უპაირატესობას, და ბოლოს დაუმატა ანდრომ:

— შეხედეთ თუნდა მიმინოს! ერთი მიზნით გატაცებულ ხალხს, ერთი ორგანიზაციით შეკავშირებულ მშრომელებს განა ის ერთი ღერი კაცი უნდა გვჯობნიდეს! იმისი ხარები რომ ენახე, მართლა შემშურდა. ყოველი თქვენგანი უნდა აენთოს ასეთი შურით! კოლექტივის წევრი ყველაფერით უნდა სჯობდეს კერძო მეურნეს. მაშ ხარკამეჩითაც უნდა სჯობდეს. იმ დღეს კი გაჭირვების ადგილას მიმინომ შეარცხვინა მთელი კოლექტივი: რასაც ჩვენი კამეჩები ვერ მოერივნენ, იმისმა ხარებმა სულ გაუჭირვებლივ აიტანეს. ყოველმა თქვენგანმა უნდა იცოდეს: არცერთი კერძოს საქონელი არ უნდა სჯობდეს კოლექტივის საქონელს! არც მიმინოსი! ამ ჯეროვანზე, სილასაც საქმით გვაქვს, ბზეც, თივაც და ჩალაც! მოვლა და პატრონობა კი თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ვერ მოვითმენთ დანარჩენ მშრომელ გლეხკაცობას, თუ კოლექტივის ყოფა არ დაემჯობინა იმათ ყოფას! ამ ჯეროვანზე კი რახან საქონელზე გვაქვს ლაპარაკი, მაშ გახსოვდეთ ყველას:

— კარგი კოლექტივი — კარგი საქონლის მომვლელიც არის!

—:—

მიმინოს მწუხარებას თითქმის მთელი სოფელი იზიარებდა, ყველანი ისე უსიამოვნებდნენ, თითქოს ძვირფასი ვინმე ოჯახის წევრი დაჰკლებოდეს.

მაგრამ ასეთ დანაკლისს თუ ჩქარა არ შეავსებ, ოჯახი სულ ერთიან დაილუპება. გინდა გლეხკაცი უხარო, გინდა ფეხკაცი ურემჯენოთ! და მიმინომ გადაწყვიტა: როგორც უნდა დაუჯდეს, უეჭველად უშოვოს ვაშლას თავისი ტოლი. ახლო-მახლო სოფლებში ყველგან დაადო ხმა — თუ სადმე იშოვება კაი ხარი. ცოტახნის შემდეგ ამბავიც მოუვიდა: ერთ დაშორებულ სოფელში ამადაამ კაცს ჰყავს საუკეთესო ხარი. მიმინო მეორე დღესვე გაეშურა იქით, ნახა ხარი. მართლა მოსაწონი რამ იყო. მაგრამ პატრონის პასუხი კი არ მოეწონა:

— მეც ვეძებ ჩემი ხარის ღირსეულ ტოლს, თუ გინდა შენ მომყიდე ცალად დარჩენილი შენი ხარით.

მიმინო დაღონდა:

— მე კაი კაცო, მე შენგან აშენებას ველოდი და შენ კი ჩემი დაქცევა მოგინდომებია.

ხარის პატრონი აზირებული კაცი ჩამოდგა. მასაც ჰყვარებია, ჯილდოსანი საქონელი. ცალი ხარი სახადით მოკვდომია და ეხლა თვითონვე ეძებს დარჩენილი ხარის შერჩეულ ტოლს.

მიმინო დაბრუნდა უკან ხელცარიელი. გულში კი ჩარჩა ნახული ხარის მურაზობა. ისე მოეწონა, რომ აღარც კი უნდა სხვისი მოძებნა. გული ისე სწყდება, თითქოს მეორედ დაჰკარგოდეს თავის ჭოტა ხარი.

მიმინომ მაინც სავსებით არ დაჰკარგა იმედი, მის ნათლიმამა ნესტორას რა არ გაუკეთებია! ახლომახლო სოფლებში მთელი ავკარგის გამრიგებელი განა ის არ არის! ქალის გათხოვება გინდა, საქონლის ყიდვა-გაყიდვა, ერთმანეთის შერიგება — ყველაფერი ნესტორას კითხულია. თუ ნესტორაც გასაოცარი ნიჭით არის დაჯილდოებული: არ შეიძლება, რამე საქმეში ჩაერიოს და ის საქმე კეთილად არ დაამთავროს. ამიტომ სცემენ ყველანი პატივს. ამიტომ აქვს შესვლა მახლობლებშიაც და შორეულებშიაც.

მიმინომაც მიმართა ნესტორას — როგორც ნამდვილ გაჭირვების ტალკვესს. ნესტორა მეორე დღესვე გაეშურა ხარის პატრონთან, რომელთანაც უკვე რამდენჯერმე ჰქონია საქმე.

კაი პურმარილისა და კაი მჭევრმეტყველების შემდეგ, როგორც იქნა ნესტორამ დაიყოლია ნებაზე ხარის პატრონი. მხოლოდ ფასი კი დაადო გვარიანად აღარც წავიდა არავითარ დათმობაზე. რა ვუყოთ მერე! „ძვირად ყიდვა სჯობს კარგისა, ზედ გამოლება სართისაო".

გახარებული ნესტორა საჩქაროდ დაბრუნდა მიმინოსთან და ახარა კაი ამბავი.

მიმინო რასაკვირველია, ხელიდან აღარ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას გაჰყიდა ერთი თვალი ოთახი, ზოგიც ჭირნახული დაუმატა და მურაზით ნაპოვნი ხარი ამოუყენა გვერდში თავის დობლებულ ვაშლას.

—:—

კოლექტივის ნამდვილ დედაბოძად გადაიქცა ანდრო, თურმე ერთ კაცს ბევრი რამ შეუძლებია საერთო საქმეშიც: კოლექტივის ყველა წევრებში ჩანერგა რაღაც ძლიერი რწმენა, გააღვიძა ზედმეტი ენერგიანობა, მთელი კოლექტივი თვალსაჩინოდ გაიმართა წელში და ღონიერად შედგა წინ.

თვითონ ანდროსაც უხარია, რომ ასეთ ხოყიერ ნიადაგზე უხდება მუშაობა. იმისი მუყაითობა, შრომა და ამაგი ამაოდ არ იკარგება. ამას ხედავს ყველა, ხედავს თვითონაც. ასეთი გამარჯვება მართლაც საამაყოა ყოველი გულწრფელი მუშაკისათვის, მაგრამ ნამდვილ გამარჯვებას წინ ელის ანდრო. იქ ელის თავის დაწყებულ საქმის დაგვირგვინებას.

—:—

მართალია მიმინომ შეინარჩუნა თავისი ეხტიბარი: ისევე ჰყავს დარჩეული წყვილი ხარი. მაგრამ უდროოდ დროის იცალი ხარის ზარალმა ძალიან უკან დასწია ოჯახი.

სარჩოს დაკლება უკვე დაეტყო შუა ზამთარში, იძულებული გახდა გამოზოგვით ეწყო ცხოვრება. ეს გამოზოგვა იმის ხარებსაც დაეტყოთ ძალიან შესამჩნევად: რომ ვეღარ აჭმევს გულუხვად და ლამის ბზეც ვეღარ მისცეს მაძღრისად — დაკლების შიშით. სამაგიეროდ მოვლა - პატრონობაში არ აკლებს, რომ ამით აუნაზღაუროს საკვების დანაკლისი. და სოფელში მაინც იმისი ხარები დადიან ყველაზე ქედმაღლად, ყველაზე დასანახად.

—:—

გლეხკაცის ჯიბრზე ზამთარი გრძელი გამოდგა. ყველა შეწუხდა, ყველას კარებს მიუკაკუნა გაჭირვებამ. მოულოდნელად დაზარალებულ მიმინოსაც დაეტყო ხელმოკლეობა. შეშაც კი დააკლდა ამ გაჭიანურებულ ზამთარში. თოვლი კი ჯერ ისევ ზარაქიანადაა ძევს მთა და ბარში. არც ურემითა და არც მარხილით არ წაისვლება ტყეში დიდი თოვლის გამო. მიმინომ ისევ არჩია მარტო ხარებით წასვლა, შემოდგომაზე თავის აჩეხებულ ადგილას ერთი კაი რცხილა დარჩა და იმას ჩამოათრევს ნალითა.

აღარც დააყოვნა მიმინომ და გაუდგა გზას.

თავისი რცხილა ისევ ალაგობრივ დაუხვდა. ხელდახელ მიება ხარებს და გასწია სახლისკენ.

სალამოჟამი აქნებოდა, როცა მიმინო შემოვიდა სოფელში. პატარა მდინარე დარჩა გასაცური, შემდეგ ფერდობი და უკვე სახლშია.

აღმართზე შეყენებამდე მიმინომ შეასვენა ხარები, ქარი ამოაღებინა კარგათ. შემდეგ ერთი შეუტია თავისებურად, ხელათ გასცურა მდინარე და შეუდგა ნახევრად მოყინულ აღმართს.

გაჭირვებით თავჩაქინდრული ხარები მაგრა მიაბიჯებენ აღმართს. მიმინოც არ აკლებს წაქეზებას, მაგრამ...

მიმინო რას ხედავს! იმის ხარებს თითქოს უჭირთ! უჭირთ კი არა, შეჩერდნენ კიდეც. აგერ ნალომაც უკან-უკან დაიწყო დაცურება და ხარებსაც უკან აწევინებს.

მიმინოს თითქოს ისარი მოხვდა გულში: როგორ! იმის ხარებს საპალნე გაუჭირდეთ! ერთი ნაწყენად შეუტია თავის ხარებს და ისევ შეუყენა აღმართს, მაგრამ... ტვირთი მაინც მოერია იმის დაგეშილ ხარებს. ამაოდ იმტვრევენ მუხლებს! ამაოდ აკვესებს მიმინო! დიახ, გაუჭირდათ იმის ხარებს. და მერე ხედავენ მეზობლები. ხედავენ კოლექტივის ხალხიც და ხელდახელ რომ შეგროვდნენ მიმინოს გაჭირვებაზე.

მიმინომ ითაკილა ასეთი შერცხვენა. ერთხელ კიდევ შეუტია თავის ბედაურებს. ხარებმა ახლად დაიქნიეს, ახლად წაიჩოქეს მოყინულ მიწაზე, მაგრამ ნალო ქარავა რჩება, თითქოს იგიც მიყინია მიწას.

— აბა, ამხანაგებო! მიმინოს შველა უნდა ეხლავე! (გაისმა ანდროს ხმა).— აბა, სინკა ეხლავე მორეკე ჩვენი ლომა და მერცხალა! ჩქარა!

მიმინომ შეხედა ანდროს. ცეცხლი წა[illegible]. მუნჯათ დოინჯი შემოიყარა და გულისწყვეტით შეხედა თავის ხარებს:

— მიღალატეთ!?

აგერ სინკამაც მორეკა კამეჩები.

ანდრომ ჩამოირბინა მიმინოსთან.

— აბა, ყოჩაღო კაცო! ეხლა შენ გამოუშვი შენი ნიშა ხარები და ჩვენ შევაბამთ ჩვენს ნიკორა კამეჩებს!

მიმინომ გამოუშვა ხარები. სინკამ კი შეაბა თავიანთი კამეჩები.

— აბა ლომა! აბა მერცხალა! არ შეგვარცხვინოთ თქვენი ჭირიმეთ!

კამეჩებმა სძრაკეს ქედი. თანაბრად მიელიან ულელს და თეთრი რცხილის ნალოც მიღოღავს მაღლა აღმართში ჭიანჭველასავით.

სინკამ აათრია მაღლა ნალო და გამოუშვა კამეჩები. მიმინომ კი მძიმე-მძიმედ შეაბა თავისი ხარები.

ანდრო წივიდა მიმინოსთან და მეგობრულად შემოსცხო მხარზე ხელი:

— ჰა მიმინო! ხომ გადავიხადეთ სამაგიერო! ეგ ის კამეჩებია, შენმა ხარებმა რომ შეარცხვინეს „კეზიან მდევზე". ეა?

მიმინო უკვე მიხვდა, რას ნიშნავდა ანდროს შეკითხვა „ეხლა?".

—:—

მეორე დღეს კოლექტივის საზოგადო კრებაა. რევოლუციით გადაშენებულ თავადის სასახლე სავსე ხალხით, აივანზე იხილავენ საგაზაფხულო თესვის გეგმებს.

საცაა კრებაც დაიწყება. ავერ ანდრომ ,ილიეთაც შესძახა:

— ამხანაგებო!

მაგრამ ამ დროს გაიღო ჭიშკარი და ეზოში შემოაბრუნა ორმა მშვენიერმა ხარმა. პატრონიც უკან მოსდევდა.

ყველამ მაშინათვე იცნო მიმინო თავის ხარებით.

ხალხში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. რაღაც უცად წინაგრძნობა ალაპარაკდა. ანდრომაც დაება თავისი სიტყვა სამან...

მიმინო მოვიდა, თან მოაძღოლია თავის ხარები.

ყველა მისჩერებია მიმინოს. მიმინომაც [illegible] —

— აი ძმებო! დღეიდან თქვენი ვარ, თუ მიმიღებთ როგორც სწორსა და ამხანაგს!

ამ სიტყვებთან ერთად ყველას გულში შეიჭრა სიხარული. მაგრამ ყველაზე მეტად ანდროს უცემს გული. რამდენი ხანია ელოდა ამ დღეს! და ბოლოს მაინც მიაღწია!

ის თვალდაჭერილი კმაყოფილებით მიმართავს კრებას:

— ამხანაგებო! ბოლოს მიმინოც „მოდურინდა" თავის საბუდარში! ვაგამარჯოთ ყველას და გაუმარჯოს მიმინოსაც ახალ კოლექტიურ ოჯახში!

ხალხი შეჰხარის. შესცქერის მიმინოს, თითქოს პირველად ჰხედავენო.

ყველაზე მეტ სიხარულს კი ეძლევა ანდრო. მან გაიმარჯვა თავის თავთან დადებულ სანაძლეოში. ხვალ ის უკვე ჰხედავს კოლექტივიზაციის სრულ გამარჯვებას მიმინოს უკან.

კრება იწყება თითქოს მეტის ყურადღებით, მეტის ხალისით რადგან მიმინოსაც ეხლა აქ ჰხედავენ — თავის საბუდარში.

# აკაკი წერეთელი და ჭიათურის შავი ქვა

## (ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის მასალებიდან)

გ. მ ე გ შ ქ ე

მთელი რიგი წყაროებით და დოკუმენტებით სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ აკაკიმ აღმოაჩინა, აკაკიმ გაახმაურა და პირველმა აკაკიმ დაიწყო შავი ქვის საქმე. ეს კიდევ ცოტაა, აკაკი არ იყო ამ ძვირფასი მადნის უბრალო აღმომჩენი გმირი ექსპლოატაციის შემთხვევითი დამწყები. აკაკი მებაირახტრე და წინამძღოლი იყო იმ ძალის, რომლის განვითარების პროცესში შესაძლებელი გახდა ჭიათურის შავი ქვის ექსპლოატაციის დაწყება.

საქმე და სიძნელე დაწყებაში იყო, აკაკიმ დაიწყო და დიდი ბრძოლებიც გადაიტანა რომ ჭიათურის შავი ქვისათვის მოქალაქეობრივი უფლებები მოეპოვებია. ეს არ იყო მაშინ უბრალო, იოლი და ხელწამოსაკრავი საქმე. ამ საქმეს ხელს ვერ მოკიდებდა იმ კლასის რიგის, არამც თუ რიგის, არამედ საშუალო დონის წევრიც, რომელიც კლასის ინტერესების ამოძრავებამაც გამოიწვია ეს საქმე.

მართალია იმ ეპოქას, როდესაც ეს საქმე დაიწყო და ლიბერალურ ეპოქას შორის დროთა სვლის დიდი მანძილი არ არის გავლილი. მაგრამ ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ისეთი მალალი ტემპები ჰქონდა აღებული, რომ მაშინდელი ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების ფაქტები თანამედროვე მკითხველს დიდ კურიოზად და შორეულ არაკებად მოეჩვენება.

ჭიათურის შავი ქვის საქმის დაწყება მაშინდელ გარემოცულობაში და პირობებში ნამდვილი ომის გამოცხადება იყო იმ დროს არსებულ დამყაყებულ და შეგუებულ საზოგადოებრივ ატმოსფეროსთან.

ასეთაც მოხდა და ჭიათურის შავი ქვის საკითხის დაყენება იმ დროის ქართულ საზოგადოებაში ყუმბარასავით გასკდა და მეტად დიდი და საშინელი ხმაც გამოსცა. შეირხა, და შეტორტმანდა დამყაყებული შემდორებული ჭაობი, გვარის სიწმინდეზე მზრუნველ წერეთლებს აკაკის ეს მოქმედება სასაცილოდ არ ყოფნიდათ თუ აკაკი გვარს ხადეს უშნო კილვა-მაზვილობის საგნად.

თვითონ სასაცილო და კიდევ უფრო მეტად სავალალო მდგომარეობაში მყოფი ქართველი თავადაზნაურობა დიდხანს, ძალიან დიდხანს ჭკუს არ იხრიდა. ახალ საზოგადოებრივ ძალას გზას არ აძლევდა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესაჩერებას აჯერე თოლად და უბრძოლველად ხელს არ უშვებდა.



ქალ. ჭიათურა შავი ქვის წარმოების პირველ ხანებში.

აკაკი თვითონ ამ საზოგადოებრივი წრიდან გამოსული, ამ წრეში პირველი რეალისტი იყო, რომელმაც თვალი გაახილა, შექმნილი მდგომარეობა ნათლად დაინახა და ახალ ურთიერთობას, მის ახალ ძალას შეეზარდა და შეესისხლხორცა.

მან აიღო საქმით, პრაქტიკული მუშაობით ჩვენი ქვეყნის განვითარების ისეთი კურსი, რომლის არსებობა არ არსებობის შესახებ ერთი ათეული წლის შემდეგ ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კამათი დაიწყო და გრძელდებოდა.

ცნობილია, რომ ლალი (ვ. ლასხიშვილი) ვ. წერეთელი და მთელი რიგი 80-90 წლ. მწერალთა ბლეადა დიდი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წყობილობა არ არსებობს და არც განვითარდება. ჩვენი ცხოვრება სხვა გზით ვითარდებოდა და ის განვითარების ამ სტადიას უკან ჩამოიტოვებს.

„ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არამც თუ არ არსებობს—სწერდა გაზ. „ივერია"-ში ლალი 1895 წ.—პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის მის დამყარებას, რადგანაც ჩვენში არც კაპიტალია და არც პროლეტარია*)".

სამოციანი წლების მეორე დიდი ფიგურა ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ წლებში, როდესაც აკაკიმ ჭიათურის საქმეს პრაქტიკულად მოკიდა ხელი, კაპიტალი იშოვა და გაიჩინა მუშებიც შემოიკრიბა, ილია აარსებს თავის გაზეთს „ივერიას" და მის დროშაზე აწერს მხოლოდ თავადაზნაურობის, როგორც მიწის მფლობელთა კლასის ინტერესების დაცვას.

ილია და სხვები, რომ კაპიტალიზმის განვითარებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი, ამას ამტკიცებს გაზეთ „ივერია-ში" დაბეჭდილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: **)

„ჩვენ არ გვყავს პროლეტარიატი, დაგვიხსნას ღმერთმა ამ უბედურებისაგან, ჩვენს კინტოსაც კი აქვს საკუთრება—თაბახი, რომელზედაც აქვს დალაგებული ხილი, ცოტა ფული, რომლითაც შეუძლია ხილი იყიდოს, ვერცხლის ქამარი, ყველა ეს მისი საკუთრებაა, მაგრამ ვაგვიკვირდება, თუ რომ ჩვენში გლეხობამ ადგილ-მამული ადვილად არ შეისყიდა და თუ მანამდე ქარხნები გაიმართა ჩვენში".

*) იხ. ფ. მახარაძე, ეგნ. ნინოშვილი.
** მოგვყავს იქიდანვე.

ილია სხვა ადგილას იმავე წელს სწერდა: „ერი ვაჭრობაზე მიქცეული დარღვეულია დაქსაქსული, გაფანტული, ამიტომ საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ლონე მიხდილია, ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზე ფეხი უდგია და ხელი გუთანს უჭლია".

ჩვენ განზრახ შევჩერდით ასე ვრცლად ამ მომენტზე იმიტომ, რომ მკითხველებმა ნათლად დაინახონ თუ როგორ რადიკალურად წინააღმდეგ პოზიციაზე იდგა აკაკი და სად ხედავდა ის ჩვენი ქვეყნის მომავალს. ამ მხრივ საინტერესოა ამ 30 წლის წინად კალში დაბეჭდილი ძველი სემინარიელის მოგონება, რომელიც მოგვყავს მცირეოდენი შემოკლებით:

მას აქეთ ოცდა ათი წელიწადი იქნება. აკაკის პირველად თავ. სიკო წერეთლის ოჯახში შევხდი. იმ ხანებში აკაკი ქვეყანაყბაში იყო ჩავარდნილი. ყველგან იმაზე ლაპარაკობდენ. ისეთს ძვირად ვისმე ნახავდით, რომ იმაზე ან მის ნათქვამ-ნამოქმედრათ არა გადმოეცა რა. მაგრამ არაფერს კი მისთანა განცაში არ გამოუწვევია მის შესახებ, როგორიც ქვა-ცუნდის ე. ი. შავი ქვის ამბავს: სოფლად ხმა გავარდა აკაკი ამბობსო: ქვა-ცუნდა სასარგებლო მადნეულიაო, ქვეყნისათვის გამოსადეგი და ოქროდ შეიძლება მაგისი გადაცვლაო. ყველას ძალიან უკვირდა. ამ დღესაც აკაკიმაც ქვაზე ჩამოაგდო სიტყვა და ყველამ ყურები ცქვიტა: შემოეხვიენ გარს, დაუწყეს აქეთ-იქიდან გამოკითხვა და ისიც ბევრ რამეს ამბობდა ქვა-ცუნდის სარგებლობაზე შესახებ. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი, „იმერელს ორი თვალი მიტომ აქვს, რომ ერთი მარჯვენით აპარპალოს და იმავე დროს მეორე მარცხნითო" ყურს უგდებდნენ მის სიტყვას, ვითომც კიდევ სჯეროდათ, მაგრამ იმავე დროს ერთი მეორეს ანიშნებდენ: სტყუის აბა რას დავუჯერებსო.

დამსწრეთა რიცხვში ერია ერთი მოხუცი თ. მ. წერეთელი, ოდესმე სამხედრო სამსახურში ნამყოფი,—ერმოლოვის დროს ჯვარში გონიერ კაცათ ითვლებოდა. ჩუმი კაცი იყო. ცოტას მოლაპარაკე, მაგრამ როცა რამ არ მოეწონებოდა ხოლმე, თითებს უბარტყუნებდა სადმე, რომ ბარაბანის ხმა გამოეყვანა და თანაც მარშს უსტვენდა. ახლა ეტყობოდა, რომ გული მოსდიოდა აკაკიზე, აქვე თავზე ადგა მოურავი,—დიდი გამოჭრილი მსახური... შეატყო ბატონს არ მოსწონსო და, რომ ესიამოვნებინა, ჩაერია ისიც მუსაიფში და შეეკითხა აკაკის:

კი, ბატონო, ეგ ყველა-ყველა, მაგრამ გატანას გზა არ უნდა, რგანში, მღვიმევში, წირქვალში და მიდამოებში ისეთი კლდეები და ოღრო-ჩოღროებია, რომ ქათამს თუ ფეხი გადაუცდა, კისერს მოიტეხს და იქიდან ამ ოხერ შავ ქვას ვინღა ამოზიდავსო.

— რკინის გზა... უპასუხა აკაკიმ. ამ სიტყვამ დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ერმოლოვითან ნამსახურმა მოხუცმაც, ეს ყოზოდა, მეტი ველარ მოითმინა და დაცინვით ჩაილაპარაკა: შენი მტერია, თუ მართლა რკინის გზა მოგვივიდა და ჩვეულებრივად დაუსტვენა ხოლმე, პაპუნას საქმე წახდეს: ე კურდღლებს კი დაგვიფრთხობს და მერე ხომ მოსცდებიან მწევარ-მეძებრებიო. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. აკაკიმაც გადიხარხარა და სთქვა: გარა მარტო კურდღლებსო: მე იმედი მაქვს, მწყერებსაც დაგვიფრთხობსო სიცილითვე გამოეთხოვა ყველას და გაგვშორდა. გამოთხოვების დროს გადმოგვცა, წისქვილში მიდიოდა ფრანცუზები მიშყავს სანახავათო.

ჯერ ეზოც არ ექნებოდა გავლილი, რომ დიდმა და პატარამ, ყველამ მაზე დაიწყო ლაპარაკი. ყაყანი დიდხანს გასტანდა, რომ სუფრაზე არ დამსხდარიყვნენ. გაიმართა მოლხენა, შეიქნა ჩვეულებრივი. ტრიალი ყანწ-აზარფეშის. ტოლუმბაშმა ოხუნჯობას მიჰყო ხელი და ყველას სადღეგრძელოს ასე ათავებდა „მანამდე არა გეტკინოს-რა, სანამ ი ჩვენში რკინის გზა არ მოვიდესო", ასე გასინჯეთ, ერთმა იქ დამსწრე ღვდელმაც-კი იოხუნჯა: „ბატონო ხომ დევიღუპეთ, მაშინ ჩვენ—აღარც საწირავი გვეყოლება და აღარც წესის გადასახდელიო"...

მე არ მჯერა, წამოიძახა ერმოლოვის ნამსახურმა, და თუ ეგითე თქვენგანს სჯერა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე არც ხელის შემშლელი ვიქნები და არც ხელის შემწყობი... პირიქით, ოღონდ კი მაგან რამე გააკეთოს და ღმერთმა საკუთრად მაგასვე მოახმაროს, — ჩვენ არ შევეცილებით, ოღონდ ამ შავი ქვისგან გაგვწმინდოს პურს რომ გვიშავებს და გვიფუჭებს და ოქრო მაგისი იყოს. სულ მითითმეფეა, რაც ჩემსაში შავი ქვა იყოს. თუ შევეცილო, რაც შენი ბარძიმი მოგიბრუნებია, იმის მადლი გამიწყრეს და ამომიწყვიტოს ცოლ-შვილი.

ამგვარად თანდათან საუბარი ლვინო ნახევამდე გამწვავდა და, ვინ იცის სანამდი მიაღწევდა, რომ ერთ ვაჟუკ ამაშიაქეს, გვარში გამორჩეულ აზნაურშვილს, არ ეთაყვირა: ამოვარდეს ეგ რაღაც საეშმაკო შავი ქვაა და მაგისი მომგონიცა, რა დროს მაგაზე ლაპარაკია, წყურვილით ხახა გვიშრება და ღვინო დაგვალევინეთო,—ამან მართლა იმოქმედა და გაჩაღდა სმა...

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, ერთხელ ჩვენი სახლიკაცის გოგო ამოვარდა ჩვენსას და გვითხრა: აკაკი წერეთელი მოსულა, ვიღაც ინჟინრები მოუყვანია და ზურაბი ვაშაძისას ჩამომხტარანო. მე მაშინვე გავექანე იქითკენ. ორი ვიღაც ფრანგი და ინჟენერი მხებლებით მართლა წასულიყვნენ შავი ქვის საჩხრეკათ და აკაკი, რადგანაც გზაში ცოტათი ფეხი ელრძო, ვეღარ გაყოლოდა სხვებს და ზურაბისას დარჩენილიყო. დამინახა თუ არა მაცნო, მომისვა გვერდით, დამიწყო გამოკითხვა აქეთურის-იქითურის და მალე ისე მომენდო, რომ თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით, გული გაეუხსნეთ ერთმანეთს და მე სხვათა შორის არა თუ ჩემი საკუთარი აზრი, ისიც კი აღარ დავუფარე, თუ სხვები რას ფიქრობდენ და ან ამბობდენ მის შესახებ. გაიცინა და მითხრა:

— მერე რა გიკვირს, ეგ ცხოვრების კანონია, უმეცრებასა და ცოდნას ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად როდის უვლიათ. ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან ხოლმე. თუ შეგინიშნავს, პატარა ტანის კაცები ფეხსაცმელს მაღალ ქუსლებს უკეთებენ, ჭლიკზე დგებიან და იჭიმებიან, რომ ჩვენც გამოვჩნდეთო. ცხოვრებაში ყველგან ასეა. ვისაც რა აკლია, იმას იჩემებს, თავსაც იტყუებს და სხვებსაც ატყუებს: აი, შემომხედეთ, არა მაკლია რაო, უმეცრება და უჭკუობაც სწორედ ასე იქცევა, თავს მაღლა იღებს და ხმა-მაღლა გაიძახის იმას, რაც მხოლოდ ჰგონია და მისი მგონიაობა კი დღენაკლულია მას უკან,—განაგრძო მან ცოტა სიჩუმის შემდეგ—რაღაი კი ჩვენ სეებდი სხვას მივანდეთ და ჩავუდევით თავი კალთაში, ცოტა არ იყოს, ძილმა წაგვილო და ალარას დავეძებთ, სხვების შემხედვარეთ, სამოწყალოზე გამოსული და ხომ გახსოვს „სიბრძნე-სიცრუეს" მდიდარი სიყვარულის დასატკიცებლად, რომ მათხოვრად გამოვიდა და მერე ველარ მოახერხა გადარჩევა, ჩვენც ასე მოგვივა, თუ თავს არ ვუშველით. ჩვენი წინაპრებისა არ იყოს, ჩვენვე უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი თავისთვის მხოლოდ დრო და ჟამის მიხედვით, იარაღიც შესაფერი უნდა ვიხმაროთ. მაშინ გარეშე მტრებს ვიგერიებდით, ახლა შინაურ უმეცრებას უნდა ვებრძოლოთ. მაშინ მახვილი იყო საჭირო და დღეს კი ქონება. ხმლის ადგილი ფულმა დაიჭირა. კი მაგრამ სადა გვაქვს ეს სიმდიდრე და შეძლება, რომ ვიმოქმედოთ", ამბობენ ჩვენები, მაგრამ ეს შეცდომაა და გონების სიბრმავე. ამ მხრივ ვერას უსაყვედურებთ ჩვენ მამებს, დიდძალი ქონება დაგვიტოვებიათ ჩვენთვის. ეს ამდენი მიწა-წყალი, ტყე და ველი, მთა და ბარი რა არის, თუ არ სიმდიდრე. და ჩვენ რომ მოხმარება არ ვიცოდეთ, მათი რა ბრალია. განა ცოტა სიმდიდრეა ამ ბუნებაში ჩამარხული. ჩვენი მიწა-წყლის ჯერ ზედაპირიც არა გვაქვს გაცნობილი, თვარა შიგაგულში როგორ ჩავიხედავდით, სადაც ქვეყნის სიმდიდრე მარხია. ერთი ამათგანია ეს შავი ქვაც, რომელიც უცხოეთში საადებ-მიცემო ბაზარს ხელში საკუთრად ჩაიგდებს, მეტოქე რომ არ ეყოლება. ეს სიმდიდრე, როგორც კი გამოცხადდება. თავს იჩენს და უცილობლად თავის თავად მოიწვევს მრეწველ კაპიტალისტებს, ისე, როგორც ნაჭრები სკაპატარძლო სასიძოებს, დატრიალდება დიდძალი ფული. სულ უცხოეთიდან შემოტანილი. მუშები იქნება საჭირო, ჩალვარდები და დღეს რომ ჩვენი ხალხი გროშის შესაძენად ცხრა მთას იქით გარბის, მაშინ შინ ექნება სამუშაო. გაიმართება ქარხნები. გამოჩნდება ასი და ათასი სხვა და სხვა ადგილები და დაე, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დღიური საზრდოს გულისათვის. ვინ იცის, სად არის გადაკარგული. თავის სამშობლოშივე დარჩება, და ნებით რომ არ უნდოდეს, უნებლიეთ მაინც გაუწევს თავის ქვეყანას სამსახურს: დამერწმუნე. რომ აქ, სადაც დღეს ამ ოღროჩოღროებში ქათმები ფეხს იტეხენ. რკინის გზა შემოიხიხინებს, გამოიღვიძებს ეს მიძინებული კუთხე. შემოვა სიმდიდრე. სიმდიდრეს თან მოყვება სწავლა-განათლება. ამ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ. წარმოებობა ხეა კუთხეებშიაც გამოსძებნის სხვადასხვა საჭიროს და ქვეყანა ფეხზე წამოდგება, გამდიდრდება.

ამგვარი რამეები ბევრი ილაპარაკა და მეც ასე მგონია, გულწრფელი ამბავია მეთქი, ასე დამებეჭდა გულის ფიცარზე. არა დამვიწყებია რა. მაგრამ ყველას ვინ გაიმეორებს აქ და ან რატომ მხოლოდ კი, რომ მისმა ოცნებამ მეც მომხიბლა. გამიტაცა და მისი ალტაცება გადმომედო. დიდხანს მიც მოსვენება აღარ მქონდა. სულ ამ შავ ქვაზე ვფიქრობდი დღე და ღამე და თვალყურს ვადევნებდი მის ვითარებას.

ჩვენ ქვეყანას დღესაც ცოტა თვალით უყურებენ უცხოელები, თვარა იმ დროს, ხომ სამშობლოთ ქონდათ წარმოდგენილი და, რასაკვირველია კონცესანტები ჩვენკენ არ იმოგზაურობდენ. მაგრამ მაინც ხანდახან ათასში ერთხელ, მოყავდა ხოლმე აკაკის ვიღაც-ვიღაც უცხოელები, რომ შავი ქვის მადნები დაეთვალიერებინათ, ერთი მათგანი კიდეც მოკლეს აბაზაკებმა ტოთში და ამან ხომ სულ დაათრთოხო ყველა. გაიარა რამოდენიმე წელიწადმა და რუსეთიდან ჩამოვიდა აკაკის გამოგზავნილი ვიღაც მეფერი ასტრიაკოვი. ეტყობოდა, რომ იმასაც კიდევ საშიშ ქვეყნად მიაჩნდა ეს ჩვენი მხარე, რომ კაეკაეში გამოსვლის დროს დაექირავებინა ორმოცდაათი ყაზახი რუსი, ერთიც ოფიცერი ფერმათ და ამ ჯარით ჩამოვიდა ჩვენში. ამის შემდეგ აკაკი დაბრუნდა რუსეთიდან და ზურაბი ვაშაძის მამული, რომელიც სანადლო იყო სალომე წერეთლის ქალისა, იჯარით აიღო და მუშაობა დაიწყო. დაადგა ის სადენზე მეტი შავი ქვის ყორე და მერე გატანაც მოინდომა. რადგანაც სასოფლო გზა საცალფეხო იყო და არა საურმო, საჭირო იყო გზის გაკეთება, მაგრამ სხვადასხვა ადგილის პატრონებმა ნება არ მისცეს და შეაჩერეს საქმე, ამის შემდეგ არ ვიცი რა მოუვიდა და რა დაემართა— აკაკი აღარ გვინახავს ჭიათურაში მოსული.

მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მოვიდა ივანე მოხრან-ბატონი აკაკის ადგილზე დაიწყო მუშაობა და მისი ქვასაც ნელ-ნე-

## სადგურის ხიდის მშენებლობა (ტფილისი)



ქარგილევის დაყენება ბურჯებს შორის. ფოტო. დავიდოვის

## ტფილისს ექნება გადახურული ბაზარი



ყოფ. დეზერტირის ბაზრის ნაცვლად შენდება ახალი გადახურული ბაზარი

ფოტო გერდტის

## ჩქარი ტემპით სწარმოებს სანაპირო ქუჩის მშენებლობა



ბრიგადა ამზადებს ბეტონს სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლისათვის.

ფოტო. სტოლიაროვის

## მოსკოვ-ყარა-ყუმ-მოსკოვის გადარბენაში მონაწილეთა დაბრუნება მოსკოვში





სურათზე — მარცხნივ: ამხ. ე. იაროსლავსკი ესალმება გადარბენის მონაწილეთ; მარჯვნივ: გადარბენის კოლონა კულტურისა და დასვენების პარკში.

ფასი 40 კაპ.

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა, კამოს ქ. 68. მთავ. რწმ. 1986 შეკვეთა 3401 ტირაჟი 3000